# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 8 მარტი, 2012 წელი.

№46 (6923)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


# სიყვარული დაგბედებოდეთ, ჩვენო ქალბატონებო!



## ექსპერტები შიშობენ, რომ ბაზარზე ჯანმრთელობისთვის საშიში პური იყიდება

2

## „ცეცხლწაკიდებული“ წყლის ტარიფი „წყალწაღებულ“ ქვეყანაში

რატომ უნდა ღირდეს ასე ძვირი ის, რითაც ასე მდიდრები ვართ?

4

## სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრესის შეტანაზე აკრძალვები მომავალ არჩევნებს უკავშირდება, რათა პატიმრები ინფორმაციულ ვაკუუმში იყვნენ

## ჩემი უჩინმაჩინის ქუდი

6

7

## უცხოელები ჩვენთან კაკანებენ, კვერცხს კი...

## არჩევნები რუსეთში:

8

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რეაქცია

**ვითარება**

# „ქართუ ბანკის“ ხელმძღვანელის მოადგილეს ხუხუნაშვილისა და ქურდაძის საქმეებზე განმარტებები მოსთხოვეს



**„ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს ნატო ხაინდრავას ახსნა-განმარტებები ზვიად ხუხუნაშვილისა და რამაზ ქურდაძის საქმეებთან დაკავშირებით მოსთხოვეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ნატო ხაინდრავამ ნათია მოგელაძესთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.**

მისივე თქმით, კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელს ნათია მოგელაძეს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქურდაძისა და ხუხუნაშვილისგან არავის მოუთხოვია, რომ დარიცხული ბონუსები „ქართულ ოცნებაში“ გადაერიცხათ.

**„დაახლოებით ამავე ოდენობის ბონუსები მათ გარდა კიდევ 18 თანამშრომელს დაერიცხა და რატომ მაინცდამაინც ქურდაძესა და ხუხუნაშვილს მოვთხოვდით ასეთ რამეს? ამ რაოდენობის ბონუსები ბანკებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთი სტრესული ვითარება კი, რაც ბოლო პერიოდში „ქართუ ბანკშია„, არასოდეს ყოფილა, შესაბამისად, რომ არ მომხდარიყო პერსონალის გადინება, ბონუსებით შევეცადეთ მათ მეტად მოტივირებას და დავუფასეთ სტრესულ ვითარებაში მუშაობა“,** – განაცხადა ნატო ხაინდრავამ.

მისივე ინფორმაციით, რამაზ ქურდაძემ სამსახური საკუთარი განცხადების საფუძველზე უკვე დატოვა, ხოლო ზვიად ხუხუნაშვილი დღემდე რჩება ბანკში.

ნატო ხაინდრავა ხუხუნაშვილისა და ქურდაძის კომენტარებს, რომლებიც ტელევიზიით გავრცელდა, ზეწოლის შედეგად გაკეთებულად მიიჩნევს.

„ქართუ ბანკის„ იურიდიული განყოფილების უფროსმა რამაზ ქურდაძემ და ფასიანი ქაღალდების განყოფილების უფროსმა ზვიად ხუხუნაშვილმა საკუთარი განცხადებების საფუძველზე რამდენიმე დღის წინ თანამდებობები დატოვეს. სატელევიზიო კომენტარში ამის მიზეზად ქურდაძემ და ხუხუნაშვილმა მათთვის დარიცხული უჩვეულოდ მაღალი პრემიები დაასახელეს, რომელთა გადარიცხვასაც, „ქართული ოცნების„ ანგარიშზე სთხოვდნენ.

„ქართუ ბანკის„ პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი კი თანამშრომლების მიმართ ამგვარი მოთხოვნების წაყენებას უარყოფს და აცხადებს, რომ პრემიები გაწეული სამუშაოს გამო დაერიცხათ.

**ინტერპრესნიუსი**

**განცხადება**

# მოწესრიგება – რის ფასად?

**ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამოვყოფთ, ჩვენი აზრით, ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე ფაქტს:**

**ა) იგორ ივანოვთან და რუს ექსპერტებთან მიუნხენში საქართველოს დელეგაციის გასაიდუმლოებულ შეხვედრას საზოგადოებისათვის უცნობი თემატიკითა და შედეგებით;**

**ბ) მიხეილ სააკაშვილის მიერ ბოლო საპარლამენტო გამოსვლაში რუსული ოკუპაციისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის იგნორირებას;**

**გ) ოკუპანტ სახელმწიფოსთან სავიზო რეჟიმის ცალმხრივად მოხსნას;**

**დ) სახელისუფლებო მედია-პროპაგანდის მიერ შერისხული, რუსეთის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული ზურაბ წერეთლის ჩამოსვლას საქართველოში და სააკაშვილის მიერ მის მიმართ გამოჩენილ ხაზგასმულ ყურადღებას და სხვ.**

**ყოველივე ეს იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დასავლეთის პოლიტიკური წრეებით იმედგაცრუებული სააკაშვილი გზებს ეძებს რუსეთის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამოსანახავად.**

**ჩვენ არა ვართ და ვერც ვიქნებით რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგების წინააღმდეგნი. თუმცა ეს უნდა ხდებოდეს ღიად და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ფორმატში და, ამასთანავე, დაისმის კითხვაც: მოწესრიგება — რის ფასად?**

**სრულიად აშკარაა, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ეცდებიან ნებისმიერი საშუალებით, — მათ შორის, უკანონო მეთოდებითაც და თვით საერთაშორისო იზოლაციის ფასადაც კი, — შეინარჩუნონ ძალაუფლება და ამით აიცილონ ის პასუხისმგებლობა, რომელსაც მათ ქართველი ხალხი დააკისრებს დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო.**

**ზემოხსენებულ „საშუალებებს“ შორის, ადვილი შესაძლებელია, იგულისხმებოდეს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საგარეო-პოლიტიკური ვექტორის შეცვლა და ქვეყნის დაბრუნება რუსული გავლენის ორბიტაზე, რაც სხვა არაფერი იქნება, თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების პირდაპირი ღალატი.**

**საგანგებოდ მივმართავთ ნაციონალური მოძრაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ესმით დასავლური პოლიტიკური კურსის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მომავლისათვის — იყავით ფხიზლად, საბოლოოდ ნუ დაასამარებთ თქვენს მიერ ისედაც შეცდომებითა და ცოდვებით დამძიმებულ პოლიტიკურ ცხოვრებას.**

**„ქართული აკადემია“**
**3.II.2012.**

**პრესკონფერენცია**

# რათა არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს

## კომპანიის „ეს შენ გეხება“ – წევრი ორგანიზაციების პასუხი დავით ბაქრაძეს

**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, კომპანიის — „ეს შენ გეხება“ — წევრმა არასამთავრობო და მედიაორგანიზაციის წარმომადგენლებმა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისში პრესკონფერენცია გამართეს.**

ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ: „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ და კოალიციამ „არჩევნის თავისუფლებისთვის“ პარლამენტში 2012 წლის 17 თებერვალს საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი წარადგინეს. მათ მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებათა მოთხოვნები მსგავსი შინაარსისაა: გაუქმდეს ამომრჩევლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და მთელი პასუხისმგებლობა, ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევაში, დაეკისროს პარტიას ან იურიდიულ პირს, და არა ამომრჩეველს. ასევე, დავიწროვდეს იმ პირთა წრე, რომლებიც, შესაძლებელია, დაექვემდებარონ პარტიისთვის დადგენილ შეზღუდვებს; ეს შეზღუდვები გავრცელდეს იმ პირებზე, რომელთაც განაცხადეს საარჩევნო მიზნები.




განისაზღვროს კონტროლის პალატის მოქმედების ფარგლები, რათა მას თავისუფალი მანიპულირების საშუალება არ მიეცეს და შემცირდეს დადგენილი არაგონივრული სანქციები პარტიებისა და სხვა პირებისთვის.

ამ საკანონმდებლო პაკეტზე მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კიდევ ერთხელ გადახედავენ საარჩევნო კანონმდებლობას და არსებულ დებულებებს დააზუსტებენ, კერძოდ კი, მასში ნათლად ჩაიწერება, რომ კანონმდებლობა არ ზღუდავს არასამთავრობო და იმ დონორი ორგანიზაციების „ლეგიტიმურ აქტივობებს“, რომლებიც პარტიების განვითარების კუთხით მუშაობენ.

კომპანიის — „ეს შენ გეხება“ — წევრმა ორგანზაციებმა, მმართველი პარტიის წარმომადგენელს, კერძოდ, დავით ბაქრაძეს მიმართეს და განუმარტეს, რომ მათ მიერ პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება მხოლოდ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საქმიანობის შეზღუდვების თავიდან აცილებას კი არ გულისხმობს, არამედ შეთავაზებული ცვლილებები გამიზნულია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის თანაბარი საარჩევნო პირობების შექმნისთვის, მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისთვის.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლის თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით მნიშვნელოვანია, პარლამენტმა განიხილოს და შეცვალოს არაერთი სხვა დებულება, მათ შორის, საარჩევნო კოდექსში არსებული რეგულაციები საქართველოში სამართლიანი არჩენების ჩასატარებლად.

**ლია გრიგოლია**

**SIC!**

# ექსპერტები შიშობენ, რომ ბაზარზე ჯანმრთელობისთვის საშიში პური იყიდება

**მაშინ, როდესაც ლეიბორისტები პურზე ფიქსირებული გადასახადის დაწესებას ითხოვენ, ქრისტიან-დემოკრატები კი — გაიაფებას, სპეციალისტები სულ სხვა პრობლემაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ დღეს ბაზარზე გამოტანილი პურპროდუქტების გარკვეული ნაწილი შესაბამის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია.**

ლეიბორისტები და ქრისტიან-დემოკრატები საკუთარი ინიციატივების გაჟღერების მთავარ მიზეზად ბაზარზე ფქვილის გაიაფებას ასახელებენ. თუმცა არც ერთი მათგანი არ ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ხარისხის პურს მიირთმევს ქვეყნის მოსახლეობა.

არადა, ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილ პურთან დაკავშირებით კრიტიკა უკვე წლებია ისმის. მომხმარებელთა ერთი ნაწილი წონას უჩივის, ნაწილი იმაზე საუბრობს, რომ პური მალე ფუჭდება, ზოგიც — უცნაურ გემოზე. სპეციალისტები კი აცხადებენ, საქართველოში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბაზარზე ჯანმრთელობისთვის მავნე პური იყიდება. საუბარია, ე.წ. კარტოფილის დაავადებით დასნებოვნებული ფქვილით გამომცხვარ პურზე, რომელიც კარცენოგენურ ნივთიერებებს შეიცავს და სიმსივნურ დაავადებებს იწვევს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, პურის ხარისხთან დაკავშირებით სპეციალური კვლევა უკვე წლებია აღარ ჩატარებულა. უკანასკნელი კვლევა დაახლოებით 5 წლის წინათ არასამთავრობო ორგანიზაციამ კავშირმა „21-ე საუკუნემ“ ჩაატარა. მაშინ პურის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და უსაფრთხოების პარამეტრების დადგენის მიზნით, ორგანიზაციამ რამდენიმე სახეობის პურის ხარისხი შეამოწმა, შედეგად აღმოჩნდა, რომ შემოწმებული პურის დიდი ნაწილი არ პასუხობდა იმ სპეციალურ მოთხოვნებს, რაც პურთან მიმართებაში არსებობს.

დღეს კი მომხმარებელთა ფედერაციაში ამბობენ, რომ უახლოეს მომავალში კვლევის ჩატარებას ნამდვილად აპირებენ, რადგან, ბოლო პერიოდში პურის ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზიები მუდმივად ისმის.

**„საერთოდ, ჩვენთან პურის ხარისხის დადგენა პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მომხმარებლები ხშირად რეკავენ და განსაკუთრებით, დაჭრილი პურის ხარისხზე ჩივიან. მომხმარებლები გვეუბნებიან, რომ დაჭრილი პურის შიგთავსი არ არის კარგად გამომცხვარი, წებოვანია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა, ეს პური კარტოფილის დაავადებით დაავადებული ფქვილისგან იყოს გამომცხვარი.**

**ადრე ასეთი საჩივრები ძირითადად ზაფხულში შემოდიოდა, ახლა კი მოხმარებელი თითქმის ყველა სეზონზე გვირეკავს. სწორედ ამიტომ მომხმარებელთა ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ მომავალში პურის ხარისხსა და მის უსაფრთხოებაზე სპეციალური კვლევა ჩაატაროს“,** — აცხადებს მომხმარებელთა ფედერაციის პრეზიდენტი მალონა კოიძე.



რაც შეეხება კარტოფილის დაავადებით დასნებოვნებული ფქვილისგან გამომცხვარ პურს, კოიძის თქმით, ქართულ ბაზარზე ხშირად გვხვდება. ასეთი ფქვილით გამომცხვარი პური კი კარცენოგენურ ნივთიერებებს შეიცავს და ის ადამიანის ორგანიზმში სიმსივნური დაავადებების გაჩენას უწყობს ხელს.

**„კარტოფილის დაავადება განსაკუთრებით თავს ზაფხულში იჩენს ხოლმე. ასეთი პური ქართულ ბაზარზეც ხშირად გვხვდება. ამ დროს პურის გული ცომივით რბილია და მომხმარებელს ჰგონია, რომ ის კარგად არაა გამომცხვარი. არადა, საქმე სწორედ კარტოფილის დაავადებასთან გვაქვს, რომელიც სიმსივნურ დაავადებებს იწვევს. სამწუხაროდ, ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ფქვილის არასწორად ინახავენ. ეს მის დაბინძურებას იწვევს. კარტოფილის დაავადებით დასნებოვნებული პური აუცილებლად უნდა განადგურდეს და ის ერთი მეტრის სიღრმეში უნდა დაიმარხოს, რათა მან არ დააბინძუროს გარემო. წარმოიდგინეთ, როდესაც ადამიანი ასეთ პურს მოიხმარს, რა ზიანი ადგება მის ჯანმრთელობას“,** — განაცხადა კოიძემ.

კვლევა არ ჩაუტარებია „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრსაც“, თუმცა როგორც ცენტრის ექსპერტი ეთერ სარჯველაძე აცხადებს, გარეგანი დაკვირვებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც პურის ცხობისას საღებავებს იყენებენ.

**„თუმცა მთავარი პრობლემა ისაა, რომ არ ხდება ეტიკეტირება და მომხმარებელმა არ იცის, ის პროდუქტი, რომელსაც ყიდულობს, რა ნივთიერებებს შეიცავს. პურის ცხობისას არამიზნობრივად ხშირად იყენებენ გამათეთრებლებს, ასევე იყენებენ საღებავებს, რომელიც შაქრის მიღებიდან რჩება. როცა ამ ნივთიერებებს იყენებ, ცხადია, რომ ეტიკეტზე უნდა იყოს ეს ყველაფერი მითითებული, რაც არ ხდება. ამიტომ ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც ქართულ ბაზარზე არსებობს, არის ეტიკეტირება“,** — აღნიშნა სარჯველაძემ.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში კი გვითხრეს, რომ ბოლო პერიოდში საცხობებში სერიოზული დარღვევები არ ყოფილა. მათივე ინფორმაციით, იყო ერთეული შემთხვევები, როცა მზა პროდუქტებში იყო ტენიანობის დარღვევა.

**ნათია ტაბატაძე**
Presage.tv

◉ თვალსაზრისი

# ასეთი თამაშები...

**ძალიან იწვალა და გვაწვალა ბუნებამ, მაგრამ დრო და ჟამი, ანუ იგივე ბუნება თავისას შვება, გაზაფხული მოვიდა. წელიწადის ამ დროს ქართველი გლეხი მიწის სამუშაოებით არის დატვირთული და ერთი წამით მოცდენაც კი მისთვის დიდი ზარალის მომტანია. ყველამ ვიცით, რომ ასე იყო ყოველთვის საქართველოში და ალბათ, ყველგან, სადაც მიწათმოქმედებას დიდი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.**

ასე იყო, მაგრამ ასე არ არის ამჟამად ჩვენთან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი ტექნოლოგიები მიწათმოქმედ მეურნეებს საქმეს უადვილებს და უმსუბუქებს, ქართველი გლეხი ჯერაც ვერ ელირსა ამ ბედნიერებას. ამ საკითხის მოგვარება მთავრობამ 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგებით გადაწყვიტა, უფრო სწორად, უნდოდა გადაეწყვიტა, მაგრამ... უჭირავთ ახლა გლეხებს ხელში ეს ფარატინა ქაღალდები, ანუ ეგრეთ წოდებული ვაუჩერები (დასწყევლოს ღმერთმა, როდის დამთავრდება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ეს უცნაური „ვაუჩეროზბია"!ძ და არ იციან როგორ გამოიყენონ, როგორ აქციონ იგი მათთვის საჭირო მექანიზმად, ტრაქტორად? არა, ტრაქტორად არა, რა თქმა უნდა, მაგრამ იმ ბენზინად მაინც, რომლითაც ტრაქტორს აამუშავებენ და ასე თუ ისე, მერე მიწასაც დაამუშავებენ... საქმე ის არის, რომ როგორც გლეხები ამბობენ, ვაუჩერების განაღდება დიდი დავიდარაბაა და ადვილად არ ხდება და ამიტომ ტრაქტორისტები მას ხელს არ ჰკიდებენ... გასამრჯელოდ ნაღდ ფულს ითხოვენ...

20-ლარიანი ვაუჩერები ჩვენც, ქალაქის მოსახლეობასაც დაგვირიგეს. ამით აღფრთოვანებული ქალბატონების ერთ ნაწილს, თქვენთან ერთად, პირადად მეც მოვუსმინე იმ სამთავრობო ტელეარხებიდან, საიდანაც ხშირად ვხედავთ აყვავებულ, განახლებულ საქართველოს, კარგი ცხოვრებით აღტაცებული უკვე ნაცნობი სახეებით... ტელევიზია იქეთ იყოს და გარეთ მყოფთაგან ძალიან ბევრმა კი ნამდვილად შემოგვჩივლა, ოცი ლარი მთავრობისთვის ძალიან ბევრია, მაგრამ რას გვიშველის ჩვენ, როცა მხოლოდ ერთ თვეში, მარტო გაზის გადასახადი 200 ლარი მომივიდაო...

და ასე, ასეთ ტყუილ-მართალით გრძელდება ჩვენი ცხოვრება ორსახოვან საქართველოში.

წელს, მკაცრი ზამთარი გვედგა, ასე იყო თითქმის მთელ მსოფლიოში. ევროპის საკმაოდ დიდ კონტინენტზე დიდთოვლობა და ყინვები მგონი დღემდე გრძელდება და სუსხიანმა ამინდებმა ბევრგან ევროპისა თუ ამერიკის კონტინენტებზე, ადამიანებიც კი შეიწირა. ეკოლოგიისაგან ჰო, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის არის, როდესაც ადამიანები თავად ერთმანეთისაგან იწირებიან... რატომ და რისთვის, ძნელია გამოიცნო, ერთი კი ცხადია, რომ დედამიწა მიდის, მოძრაობს, მშვიდად ბრუნავს და გულგრილად და უკან მოუხედავად, ნელა და ძალიან დინჯად ტოვებს კაცობრიობას მისთვის განკუთვნილ ოცდაოთხსაათიან დღე-ღამეში. და მერე, რაც იქ ხდება, ყველაფერი თავად კაცობრიობის მიზეზით და მისი შემოქმედებით... დიახ, კაცობრიობამ ბევრ რამეს მიაღწია, მათ შორის უპირველესი და ყველაზე წარმატებული იყო სახელ-



მწიფოებრივი პოლიტიკა, რამაც გარკვეული კორექტივი შეიტანა ხალხით დასახლებულ კონტინენტებზე, შექმნა ქვეყნები და ადამიანებს, ხალხებს სხვადასხვა ცივილიზაციის განვითარებისა და პერსპექტივების გზა დაუსახა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამით, იგივე კაცობრიობამ, იმ დღიდანვე, პოლიტიკური უღელი დაიდგა მხრებზე...

საქართველოს ბედი მაწუხებს, თორემ სხვა სახელმწიფოები თავიანთ პოლიტიკურ უღელს მიხედავენ როგორმე. ეს ჩვენთან გაუცნაურდა და ხალხს მწვალებლად მოევლინა სახელმწიფო პოლიტიკა, მართლაც, უხეშ და უმძიმეს უღელად იქცა იგი და მოიყოლია ხალხის ღირსება, ადამიანურად ცხოვრების ნება და მგონი სიცოცხლის უფლებაც კი. არ ვიცით, რა იქნება ხვალ, მაგრამ დღეისათვის საქართველო საკუთარი შვილების მიერ გამოჩორკნილ პოლიტიკურ უღელქვეშ არც თუ ხალვათად გრძნობს თავს და იმ მიმართულებით მიაბიჯებს, საითაც არც გზა და არც საშველი ჩანს. თუმცა, რა გზა უნდა დაინახოს თავდახრილმა და ინერციით მიმავალმა ქვეყანამ. მიუხედავად ამისა, დღევანდელი ქართული პოლიტიკის საჭესთან მსხდომნი თავდაჯერებულნი, საკუთარ სტრატეგიასა და პოლიტიკაში დარწმუნებულები მიიწევენ იქითკენ, სადაც ჩვენი საზოგადოების ღირსეული ნაწილის მოსაზრებით, მხოლოდ კლდის ნაპირი და უფსკრული ჩანს. როდესაც სათავეში მოსულნი არ ან ვერ აფასებენ განვლილ გზას, არც უკან იყურებიან და არც წინ, როდესაც დიპლომატია და ლავირების უნარი სუსტია... პოლიტიკა ტლანქდება და უხეშდება, ასეთ დროს სახელმწიფოს არამც თუ უჭირს, არამედ, ჭერი ენგრევა თავზე. განა არ ჩამოგვენგრა კიდეც ჩვენი ისედაც ფარღალალა ჭერი, როდესაც რუსეთის შევებით და და მსოფლიოში ამ სახელგანთქმულ ოკუპანტებს თავიანთი ზრახვების განხორციელების საშუალება მივეცით? რამდენი ქართველი ვაჟკაცი შევწირეთ ამ უგუნურ ნაბიჯს, ტერიტორიებზე რომ არაფერი ვთქვათ რა! წარმატებული სახელმწიფო მაშინა ხარ, როდესაც ისე წარმართავ სამხედრო თუ სამოქალაქო პოლიტიკას, შენი იმპერიალისტი მეზობლის დაღებულ ხახას მოხერხებულად გვერდს აუვლი და გზას, შენი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის საბრძოლველად შეიარაღებული და აღჭურვილი, შეუპოვრად გააგრძელებ. ასეთ გზაზე დადგომა გახდა ჩვენი ქვეყნისთვის დიდი გასაჭირი და მიუღწეველი...

კიდევ უფრო მეტად უჭირს სახელმწიფოს მაშინ, როდესაც კარგავს (ან არც არასდროს ჰქონია!ძ ხალხის ცხოვრების სალი თვალით დანახვის და აღქმის უნარს და ეკონომიკურად მორყეულ ქვეყანაში პრიორიტეტს იმას კი არ ანიჭებს, რასაც სამთავრობო ტრიბუნიდან ჰპირდება საზოგადოებას, არამედ იმას, რასაც უზრალო, მშრომელი ხალხისთვის და საერთოდ, მთლიანად ქვეყნისთვის არავითარი სიკეთე და სარგებლობა არ მოაქვს. ულტრამოდერნისტული არქიტექტურით პოლიციის გამჭვირვალე შენობების აგება და ამ მიზნის განსახორციელებლად, ქალაქის თვალსაჩინო, უძველესი პარკების გაჩეხვა ერთ-ერთი, საზოგადოების აზრისა და განწყობის უგულებელმყოფელი მაგალითია. დიახ, სამწუხაროდ ასეთ ფაქტებსაც აქვს ადგილი ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს საყვარელ ქალაქში. კიკვიძის პარკში და მსგავს, ქალაქის შუაგულში, ათეული წლების წინათ აშენებულ პარკებში მრავალი, მნიშვნელოვანი, სიცოცხლისათვის აუცილებელი ხე მოიჭრა, მაღალ მთებს შუა გაშენებული ქალაქი ჟანგბადის ნაკლებობას კარგა ხანია გრძნობს და ამაზე ჟურნალისტები კი არა, მთელი მოსახლეობა, ქალაქის მთავრობის მეთაურობით, მიზანდასახულად უნდა ზრუნავდეს. დღემდე კი არ ჩანს არანაირი ზრუნვა არც ქალაქზე არც ხალხზე... არადა, თუ მავანთა საუბრებსა და პიარ-კამპანიებს ავყვებით, ისე ჩანს, თითქოს ჩვენმა ქვეყანამ ევროპის ბევრ დემოკრატიულ ქვეყანას გაუსწრო. მაგრამ ასეთი საუბრები ხალხის გრძნობებს და განწყობებს როდი გამოხატავს. ბუნებრივია რომ ხალხის განწყობა შეესაბამება მათსავე მძიმე, ცხოვრებას. ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფი და საარსებო წყაროს მოსაძიებლად საზღვარგარეთ გასაქცევად გამზადებული ადამიანები ძნელია სიტყვებით დააჯერო საქართველოში ბედნიერი და მშვენიერი ცხოვრების არსებობაზე...

ხალხი ასე მსჯელობს, მაგრამ ხელისუფლება თავისი გზით მიდის. ახლა მათი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, მოახლოებულ არჩევნებში გამარჯვებაა. ამიტომ ცდილობს აკრძალული თუ დაშვებული მეთოდებით პოლიტიკურ არენაზე არ შემოუშვას ახალი ძალა, რეალური მეტოქე და მოწინააღმდეგე. ეს ერთი, მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ იმ დროს, როდესაც ვითომ იშველიებს ევროპულ თუ ამერიკულ საკანონმდებლო წყაროებს, რაღაცას აკლებს, რაღაცას ამატებს და ქმნის ისეთ უხეშ კანონებს, რომლითაც თრგუნავს არა მხოლოდ იმ პოლიტიკოსს, რომლის წინააღმდეგაც ასე გულმოდგინედ ირჯება, არამედ ხალხს და სწორედ ამ დროს ასეთი მოქმედებით, ხელისუფლება საბოლოოდ უკარგავს ავტორიტეტს საკუთარ თავსაც. პოლიტოლოგი ექსპერტები ასეთ თამაშებს პოლიტიკას კი არადა, უზრდელი ბავშვის თამაშებს უფრო ამგვანებენ...

**გულნარა სტურუა**

◉ NEO შიდა ქართლში

# შავშვებში მემორანდუმი გაფორმდა

**გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAIDძ, ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის (NEOძ პროექტის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო.**

მემორანდუმი USAID-სა და გორის მუნიციპალიტეტს შორის 6 მარტს გაფორმდა.

სოფელ შავშვებში შეხვედრა გაიმართა შავშვების თემის მოსახლეობასთან. შეხვედრაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის საკითხებში დევიდ რობინსონი და USAID-ის მისიის ხელმძღვანელი სტეფან ჰეიკინი 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს შეხვდნენ და მათთან ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები განიხილეს.

დევიდ რობინსონმა მოსახლეობას უთხრა, რომ ეამაყებათ, რასაც აკეთებენ ხალხის დასახმარებლად, მაგრამ აღიარებენ იმასაც, რომ ეს საკმარისი არაა, რათა ადამიანები დამოუკიდებლად დადგნენ ფეხზე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამას სჭირდება განვითარებაზე მიმართული ორგანიზაცია. ასეთია სწორედ USAID. მემორანდუმის ხელმოწერის შედეგია, თემი და თემის წევრები სრულფასოვან ცხოვრებას დაუბრუნდნენო.




— აქ მშრალი კონტინენტალური ზონაა და 4-5-ჯერ მორწყვის გარეშე მოსავალი არ მოდის. ეს ადგილები უწინ ტირიფონის არხით ირწყვებოდა, რომელიც სათავეს იღებს კონფლიქტის ზონაში. სარწყავი არხის გადაკეტვამ გამოიწვია უწყლობა, და თუ სარწყავი წყლის პრობლემა მოგვარდება, მოსახლეობა შვებას მიიღებს, — გვითხრა მეცნიერებათა კანდიდატმა, ამჟამად უმუშევარმა ჯემალ დუღაშვილმა, — სარწყავი წყლის მოგვარებით ორჯერ გაიზრდება მოსავლიანობა. შიდა ქართლში მეხილეობის ტრადიციაა და თუ სარწყავი წყალი იქნება, მეხილეობას აღადგენენ და მოსახლეობა ეკონომიკურად გაძლიერდება.

შავშეთის თემში 7 სოფელი და დევნილთა 2 დასახლებაა — შავშეთისა და ხურვალეთის კოტეჯები. თუ სარწყავი არხის რეაბილიტაცია მოხდება, მთელ თემს ეშველებაო, ამბობს ადგილობრივი მოსახლეობა.

NEO-ს USAID-ის მეშვეობით აშშ-ის მთავრობა აფინანსებს. შავშვები იმის გამო შეირჩა, რომ ამ სოფელში დევნილთა კომპაქტური დასახლებაა, ომის დროს რუსმა ჯარისკაცებმა სოფლის ყანებში საგუშაგოები განათავსეს და გასვლის წინ ეს ყანები გადაწვეს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზვიად ხმალაძის აზრით, პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ის არის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იქნება მასში ჩართული, ანუ თემი თავად წარმოაჩენს პრობლემას და თავადვე გადაწყვეტს, რა პრობლემა უნდა მოგვარდეს.

შავშვებში საინიციატივო ჯგუფმა სამუშაო უკვე შეასრულა და გამოიკვეთა, რომ სოფელს სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების აღდგენის გარდა, სჭირდება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, დახმარება სოფლის მეურნეობაში და სოციალურ საკითხებში. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლის დევიდ რობინსონის თქმით, ახალი 4-წლიანი პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ზრდა, სასურსათო უვნებლობა, მცირემასშტაბიანი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და დევნილი ოჯახების დახმარება.

NEO-ს ოთხწლიანი პროექტის მთლიანი ღირებულება 20,5 მლნ აშშ დოლარია..

ეს პროექტი საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში, 84 თემში განხორციელდება და დაეხმარება დაახლოებით 70 ათას ოჯახს. NEO-ს და სხვა პროექტების მეშვეობით აშშ-ის მთავრობა მხარს უჭერს სტაბილურ და მრავალმხრივ ეკონომიკურ ზრდას, რომელსაც სარგებელი მოაქვს საქართველოს მოქალაქეებისთვის.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## პარადოქსი თუ ანგარება?

**ბოლო ასწლეულის განმავლობაში წყლის მოხმარების გლობალურმა ტემპმა ორჯერ გადააჭარბა დედამიწის მოსახლეობის ზრდის ტემპს. უწყლობის პრობლემა აწუხებს დედამიწის ყველა კონტინენტის მცხოვრებს და, გაეროს პროგნოზით, 2025 წლისთვის დედამიწაზე 1,8 მილიარდ ადამიანს შეექმნება წყლის დეფიციტის უმწვავესი, ხოლო ჩვენი პლანეტის ორ მესამედს კი — წყლის დეფიციტის პრობლემა. რაკი წყალს არა მხოლოდ წყურვილის მოკვლის ფუნქცია აქვს (უსაფრთხო წყლის დეფიციტი ზღუდავს საკვები პროდუქტების წარმოებას, წარმოების განვითარებას და ენერგიის წარმოქმნას), მისი დეფიციტი ხელს უწყობს სასიკვდილო დაავადებების გავრცელებას. მაგალითად, ყოველწლიურად მილიონობით ბავშვი იღუპება დედამიწაზე იმის გამო, რომ არ აქვს სასმელი წყალი და სათანადო სანიტარიული პირობები.**

**ამ ფონზე საქართველო (საერთო ფართობით 70 000 კვადრატულ კილომეტრამდე) წყლის რესურსით ერთ-ერთი უმდიდრესი და უნიკალური ქვეყანაა მსოფლიოში: საქართველოში არის 26 000-ზე მეტი მდინარე, 850 ტბა და 730 მყინვარი. წყლის საერთო რესურსების რაოდენობა წელიწადში 65 ტრილიონი ლიტრია (აქედან მიწისქვეშა წყლების რაოდენობა — 18 ტრილიონი ლიტრი). ამის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის წინაშე დგას როგორც სასმელი, ისე — სარწყავი წყლის პრობლემა. დედაქალაქ თბილისში დღემდე არსებობს უბნები, სადაც მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდება, ხოლო ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისში წყალი გრაფიკითაა, თანაც — ორ დღეში ერთხელ. აღარაფერს ვიტყვით მთელ რიგ ქართულ სოფლებზე, რომლებსაც წყალი საერთოდაც არ მიეწოდებათ (ძირითადად, წყალგაყვანილობის სისტემის არარსებობის ან ამორტიზების გამო).**

**რამდენად გონივრულად იყენებს (ან, იყენებს თუ არა საერთოდ) ქვეყნის ხელისუფლება წყლის რესურსს და რამდენად ადეკვატურია წყლის ტარიფი საქართველოში? საკითხს თბილისის მაგალითზე განვიხილავთ.**

# „ცეცხლწაკიდებული“ წყლის ტარიფი „წყალწაღებულ“ ქვეყანაში

## რატომ უნდა ღირდეს ასე ძვირი ის, რითაც ასე მდიდრები ვართ?

### პრეზიდენტის ბრძანებულება - წყლის ტარიფის ზრდის საფუძველი?!

**2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობასთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს Multiplex Energy Limited-ს გადაეცა შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100%-იანი წილები პირდაპირი მიყიდვის წესით. იმ დროს გავრცელებული ინფორმაციით, საერთო ჯამში, 100 მილიონ აშშ დოლარად და ვალდებულებით, რომ კომპანია 300 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებდა.**

ხელშეკრულების ნახვა შეუძლებელია, რადგან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განმარტებით, ეს დოკუმენტი კომპანიის კომერციული საიდუმლოებაა (საერთოდაც, რატომღაც, წესად იქცა, რომ ასეთი ტიპის პრივატიზაციის ხელშეკრულებებს გრიფი „საიდუმლოდ“ დაედოს). ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ საჯარო უწყებებთან ორწლიანი უშედეგო მიმოწერისა და სასამართლო დავის პროცესში ვერ მიაღწია ხელშეკრულების განსაჯაროებას, თუმცა აღმოაჩინა, რომ ზემოხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულების თითქოს გასაიდუმლოებული ტექსტი ერთ-ერთი მოქალაქის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტომ თავის ვებ-ვერდზე განათავსა (ოღონდ არასრულად). მაგრამ, ამ არასრულმა ვარიანტმაც კი არასამთავრობო ორგანიზაციას რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა.

პრივატიზაცია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებით დადგენილი პირობებით განხორციელდა. უცხოურ კომპანიას ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტები პირდაპირი მიყიდვის ფორმით, საერთო ჯამში, 85 მილიონ აშშ დოლარად გადაეცა, ინვესტიციების ჯამური რაოდენობა კი 220 მილიონ დოლარამდე ჩამოქვეითდა.

თბილისის წყალმომარაგების კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორი იორგ მათისი შეკითხვაზე, რა ფასად შეიძინეს წყალმომარაგების სისტემა, მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ **„თბილისის წყლით მომარაგების სისტემა ინვესტორს სახელმწიფოსთან 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად გადაეცა.“**

ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის 245-ე ბრძანებულების მიხედვით, დადგინდა წყლის ტარიფები. კერძოდ, ბრძანებულებაში ვკითხულობთ: **„გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გაწმენდის მომსახურების ტარიფი მოსახლობის ერთ სულზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2008 წელს — 2,4 ლარი; 2009 წელს — 2,6 ლარი, 2011-2013 წლები — 2,95 ლარი, 2014 წელს — 3,3 ლარი; 2015 წელს — 3,5 ლარი; 2016 წელს — 3,7 ლარი, 2017 წელს — 3,9 ლარი, 2018 წელს — 4,1 ლარი. გამრიცხველიანებული მოსახლეობისთვის კი ერთი კუბური მეტრი წყლის ტარიფი განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2008 წელი — 0,1 ლარი, 2009 წელი — 0,22 ლარი, 2010-2013 წლები — 0,25 ლარი, 2014 წელი — 0,28 ლარი, 2015 წელი — 0,297 ლარი, 2016 წელი — 0,313 ლარი, 2017 წელი — 0,33 ლარი, 2018 წელი — 0,347 ლარი.“**

იხ. 9 გვ.

## ვითარება

**სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბეჭდური მედიის შეტანა აიკრძალა. ეს ინფორმაცია „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა მერაბ ღოღობერიძემ გაავრცელა. მისი თქმით, მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ბათუმის მესამე საპყრობილეში ბეჭდური გამოცემების შეტანა აიკრძალა, საპყრობილის ადმინისტრაცია პატიმრებისთვის შესაგზავნი ამანათებიდან გაზეთებსა და წიგნებს იღებს და უკან აბრუნებს.**

**იურიდიული კომპანიის „სამართალი ხალხისთვის“ წარმომადგენელი კობა კობიაშვილი კი „ტრიბუნასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ „გაზეთების შეტანა საქართველოს მასშტაბით ყველა ციხეში აკრძალეს და დღეიდან პატიმრებს გაზეთების შეძენა თავად საპატიმროებში შეეძლებათ.**

**„ციხის ადმინისტრაციის განმარტებით, უახლოეს დღეებში პატიმრებს შეეძლებათ, გამოიწერონ ნებისმიერი გაზეთი, რომელსაც მას „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენლები პერსონალურად მიუტანენ,“ — აცხადებს კობა კობიაშვილი.**

# სამინისტრო კი უარყოფს, მაგრამ...

## სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრესის შეტანაზე აკრძალვები მომავალ არჩევნებს უკავშირდება, რათა პატიმრები ინფორმაციულ ვაკუუმში იყვნენ



**Presage.tv**-სთვის აქამდეც ცნობილი იყო, რომ ზოგიერთი პოლიტიკური გამოცემის ციხეებში შეტანა პრაქტიკულად შეუძლებელია. საუბარია ისეთ გამოცემებზე, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლებსა და ადამიანის უფლებათა დამცველებს ეძლევათ ხოლმე საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება, თორემ ლიტერატურული და სპორტული თემატიკის ჟურნალ-გაზეთების შეტანა ციხეში პრობლემა არ არის. ამასთანავე, როგორც ჩვენთვის ადვოკატებისგან არის ცნობილი, პოლიტიკურ გაზეთებს პატიმრების ოჯახის წევრები ყდებს აცლიან და სხვა ისეთ გაზეთების ყდაში სვამენ, რომელთა შეტანა ციხეში პრობლემა არ არის და სწორედ ამ გზით ხვდებოდა აქამდე ციხეებში ის გაზეთები, რომლებსაც ციხეების ადმინისტრაცია პატიმრებს ისე არ აწვდიდა.

მაინც დავინტერესდით, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამიერიდან პრესის შეტანა ციხეებში ოფიციალურად აიკრძალა. ამისათვის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს პრესსამსახურის უფროს თეა სუხიშვილთან ვცადეთ დაკავშირება. თავიდან მის მობილურ ტელეფონზე უცნობმა ქალბატონმა გვიპასუხა (შესაძლოა თვითონაც იყო), მან ჯერ მოგვისმინა, რასთან დაკავშირებით ვრეკავდით, შემდეგ კი გვითხრა — **„თეა შეხვედრაზეა, დაახლოებით 5-10 წუთში განთავისუფლდება და ამ დროისთვის გადმორეკეთო“**. ამ საუბრიდან დაახლოებით 20 წუთის გასვლის შემდეგ დავიწყეთ რეკვა სუხიშვილთან, მაგრამ ამჯერად უკვე აღარვინ გვპასუხობდა. შემდეგ მოკლე ტექსტური შეტყობინება გავუგზავნეთ იმის შესახებ, თუ ვინ ვიყავით და რა გვაინტერესებდა. დაახლოებით 40 წუთის შემდეგ მოვიდა პასუხი — **„შეხვედრაზე ვარ და ვერ გპასუხობთ, იქნებ მიუთითოთ წყარო, თუ სად გავრცელდა ეს ინფორმაცია“**. ჩვენც მივუთითეთ წყარო და ვკითხეთ, რამდენ ხანში განთავისუფლდებოდა იგი. მისი პასუხის მიხედვით, ქალბატონი თეა 15-20 წუთში უნდა განთავისუფლებულიყო, მაგრამ მასთან ამ დროის გასვლის შემდეგაც ვერ მოხერხდა დაკავშირება.

ჩვენ გვინდოდა გაგვერკვია, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს პრესსამსახურიდან მართლაც აკრძალეს თუ არა მათ ციხეებში ბეჭდური მედიის შეტანა. ამასთანავე, საინტერესოა, თუკი მართლაც მხოლოდ გამოწერის გზით შეეძლებათ პატიმრებს გაზეთების მიღება, მაშინ რამდენად ხელმისაწვდომი იქნება მათთვის ეს სერვისი იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრების უმეტესობისთვის მათი ოჯახები ყოველთვიურად საარსებოდ საჭირო თანხების დარიცხვას ძლივს ახერხებენ მათ პლასტიკურ ბარათებზე. ვინაიდან სამინისტრომ არ ისურვა ჩვენთან განმარტების გაკეთება, Presage.tv უფლებადამცველ ლალი აფციაურს დაუკავშირდა და შევეცადეთ, გაგვერკვია, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მართლაც პრობლემაა თუ არა პატიმრებისთვის გაზეთების მიღება.

Presage.tv-სთან საუბარში ლალი აფციაურმა დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია. აფციაურის თქმით, მისთვის არ არის ცნობილი ამის შესახებ რაიმე ოფიციალური ბრძანება გამოიცა თუ არა, მაგრამ მისთვის ცნობილია, რომ ეს შეზღუდვა აქამდეც ვრცელდებოდა.

**ლალი აფციაური: „ეს არის ორი კურდღლის დაჭერა ერთდროულად, ანუ პატიმრებს, რა თქმა უნდა, შეეზღუდებათ პრესის მიღება, იმიტომ, რომ მათ უმეტესობას არ აქვს საშუალება, მთელი წლით, ექვსი თვით, ან თუნდაც სამი თვის ვადით გააფორმოს ხელშეკრულება მათთვის პრესის მიწოდების თაობაზე. ჯერ ერთი, პატიმარი ვერც გააფორმებს ასეთი ტიპის ხელშეკრულებას და გამოდის, რომ მისმა ოჯახის წევრებმა უნდა გააფორმონ ეს ხელშეკრულება და გადაიხადონ გარკვეული თანხა. ამის საშუალება კი ბევრ მათგანს არ აქვს.**

**მოგეხსენებათ, პატიმრებისთვის ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება არის პრესა და რადიო, რადგან ტელევიზია მათთვის ხელმისაწვდომი არ არის. რადიოც ზოგან იჭერს, ზოგან — არა. ამიტომ, პრაქტიკულად ინფორმაციის ერთადერთ წყაროდ მათთვის გაზეთები რჩება. თუმცა მე ვიცი, რომ აქამდეც აკრძალული იყო გაზეთები „ქრონიკა“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „კრიმინალი“ და გაზეთები, რომლებიც მოიაზრება, როგორც ოპოზიციური მედიასაშუალებები. ამ გაზეთების შეტანა საპატიმროებში აქამდეც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.**

**აქამდე პატიმარს უწევდა თავისი პლასტიკური ბარათიდან ერთი, ან ორი ლარის მოხსნა გაზეთის საყიდლად, თუკი საჭირო იქნება გაზეთების გამოწერა, პატიმრების ალბათ, ერთი პროცენტიც კი ვერ შეძლებს ამის გაკეთებას, რადგან ამისთვის საჭირო თანხები მათ არასოდეს აქვთ“.**

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვრცელდება პატიმრებზე ბეჭდური მედიის მიწოდების შეზღუდვა, ლალი აფციაური მიიჩნევს, რომ ეს აკრძალვა მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებთან არის დაკავშირებული.

**„ზოგადად ეს საკითხი როგორც გითხარით, პრობლემატური იყო აქამდეც, რადგან ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა, ნაკლები ინფორმაცია შესულიყო საპატიმროებში გარეთ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. დღესდღეობით კი წინ ორი არჩევნები გვაქვს და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ დაახლოებით 45 ათასი პატიმრის იზოლირება მოხდეს,“** — განაცხადა Presage.tv-სთან საუბარში ლალი აფციაურმა.

მაშინ, როდესაც მასალაზე ვმუშაობდით, საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო უარყოფს ციხეებში პრესის შეტანაზე რაიმე შეზღუდვების დაწესებას, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება. ადვოკატები პატიმრებზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ ბეჭდური მედია პატიმრებს შეზღუდვებით მიეწოდებათ.

**რუსა უშიკიშვილი**

ყოფა

# ტალახში ამოსვრილი ქვეყანა

***მუდმივი არაფერია, ოდესმე ჩვენც წავალთ. მუდმივი – საქართველოა. დაახლოებით ამ შინაარსის სიტყვებით შეაჯამა მიხეილ სააკაშვილმა თავისი წლიური ანგარიში პარლამენტის წინაშე, რითაც მან აშკარად გაუცრუა იმედი არა მარტო ქრისტიან-დემოკრატებს, არამედ ხალხს.***

თარგამაძე და მისი პარტიის წევრები დაბეჯითებით ცდილობდნენ, აიძულებინათ პრეზიდენტი, გარკვევით ეთქვა – საპრეზიდენტო ვადის დამთავრების შემდეგ, აპირებს თუ არა პრემიერ-მინისტრობას. პრეზიდენტის პასუხი ისეთივე ზოგადი იყო, როგორც 50-წუთიანი მოხსენება, დაახლოებით ასეთი შინაარსის შემცველი – ცას არავინ გამოკიდებია, დადგება დრო და წავალთ.

საპარლამენტო ოპოზიციის გამოსვლის დროს დაფიქსირებული შიში, უპერსპექტივო მომავლის ფონზე, ოპტიმიზმით გაჟღენთილი სააკაშვილის სიტყვა, მორიგი აბსტრაქტული დაპირებებით, ოპოზიციისთვის განვლილი 8 წლის მანძილზე, ნაკლები ოპტიმიზმის შანსს იძლევა, რაც თავისთავად ბადებს კითხვას – „ოდესმე“ სააკაშვილისა და ნაცების წასვლას ხომ არ მოჰყვება ქვეყნის წაქცევა? ოპოზიციონერთა მწარე გამოსვლებიდან გამომდინარე, ჩანს, ასეც იქნება.

პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა იმით დაიწყო, რომ მისი სიტყვა პარლამენტის ამ შენობაში ბოლო იქნება, ვინაიდან ა.წ. მაისიდან პარლამენტის მუშაობა ქუთაისში გაგრძელდება. რა ბედი ეწევა პარლამენტის უნიკალურ შენობას, არავინ იცის. მოარული ხმების მიხედვით, მასაც ისე გაჰყიდიან, როგორც სხვა ისტორიულ შენობებს, რითაც კიდევ ერთხელ შეურაცხყოფენ წარსულს, ისტორიას, განვლილ ცხოვრებას.

პარლამენტის შენობის გასხვისებით, ისე, როგორც სხვა ანტიეროვნული ქმედებით, ნაციონალური ხელისუფლება ცდილობს, ხალხს დაავიწყოს საკუთარი ისტორია.

2004 წლიდან 8 წელი გავიდა, ქვეყნის ისტორიისთვის წამიერი გაელვების ხანა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ნაცთა 8-წლიანმა ბატონობამ ადგილიც შეიძლება ვერ ჰპოვოს ქვეყნის ისტორიაში. მაგრამ თუ ნაცთა ბატონობა მომავალშიც გაგრძელდა, რისი ურყევი სურვილი დააფიქსირა პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას, მაშინ არა თუ ისტორია, არამედ ქვეყანაც აღარ დარჩება.

რაც შეეხება ნებისმიერ მოკვდავს – 8 წელიწადი მისი ხანმოკლე ცხოვრების საკმაოდ დიდი მონაკვეთია. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ 8 წლის მანძილზე ქვეყანაში ბევრი ისეთი გაკეთდა, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ქვეყნის ყოფა. ცვლილებები მოსახლეობისთვის ისეთივე მიუღებელია, როგორც ვიდრე, მაშ რას ან ვის ემსახურება ნაცური რეფორმები, რითაც ესოდენ თავს იწონებს პრეზიდენტი?

პასუხი მარტივია – რეფორმები თვით ნაცებს, უფრო დაზუსტებით, მათ ლიდერს მოსწონთ, კიდევ აშშ-ს გარკვეულ წრეებს, ისრაელს, ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ბალტიისპირა ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, პოლონეთი, სხვადასხვა წრეფეხობა, რუსულ ლიბერალურ წრეებს. მათთვის არაფერს ნიშნავს საქართველო, მისი მოსახლეობა.

პრეზიდენტის გამოსვლის მთავარი მიზანი იყო შემდეგი – შარშან დაგეგმილი და გავაკეთეთ. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მან არა მარტო შარშანდელი დაპირება შეასრულა, არამედ – 2004 წლიდან მოყოლებული ყველა დაპირებაც. ის დარწმუნებულია, რომ გადააკეთა დამყაყებულ-დაქცეული ქვეყანა. პრეზიდენტს მოსწონს საკუთარი ნახელავი.

გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ნაცთა 8-წლიანმა მმართველობამ ძირფესვიანად შეცვალა თითოეული ჩვენგანის ყოფა. განსაკუთრებული ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა ახალგაზრდობა. შეიცვალა მისი აზროვნება. საყოველთაო უცოდინარობის ფონზე, რაც ფესვგამდგარია ახალგაზრდებში, იოლად მიეცა გასაქანი წარსულის დავიწყებას, მის აუგად ხსენებას, დღევანდელობის გაფეტიშებას - და მისი მთავარი შემოქმედის, ხელისუფლების ხოტბას. ლაღი ცხოვრების იმიტაციამ, დროსტარების ტრფიალმა ჩაანაცვლა ყოველივე არსებული.

სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულმა ტელეკომპანიებმა ბატონისადმი უშრეტი მონური დამოკიდებულების დასამტკიცებლად უდიდესი წვლილი შეიტანეს საზოგადოების გაფუქსავატების პროცესში.

რებწლიან ყველა „სიკეთესთან“ ერთად ტყუილი, ბაქიბუქი, ყოყოჩობა ყოველდღიურობად იქცა.

საზოგადოება ძალით თუ თვით საზოგადოების სისუსტით შეეჩვია იმას, რასაც თუნდაც საბჭოეთის დროს უპასუხოდ არ ტოვებდა. მეხსიერებას შემორჩა 1956 წლის ანტისახელმწიფოებრივი მრავალდღიანი გრანდიოზული სახალხო მიტინგები და დემონსტრაციები, რომელიც სისხლით დასრულდა; 1978 წლის 14 აპრილი – ქართული ენის დაცვისათვის თბილისის ქუჩებში გამოსული ათეულ-ათასობით ადამიანით; 1989 წლის აპრილი და სისხლი; სხვა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები, თუნდაც გამსახურდიას ხელისუფლების საწინააღმდეგო; ზვიადისტების გამოსვლები და კვლავ სისხლი. 8-წლიანმა ნაცთა ბატონობამ ჩაკლა პატრიოტული სულისკვეთება.

ნაცთა ბატონობის დროს გამართულმა მასობრივმა მიტინგებმა, თბილისის ქუჩებში გაშლილმა კარვებმა, უწინდებურად გამოავლინა უსამართლო ხელისუფლებათა მიმართ ხალხში დაგროვილი უკმაყოფილება, მაგრამ ოპოზიციის სისუსტემ და მოუქნელობამ, დოლარებზე დახარბებამ, კულუარულად ჩააქრო ეს ხელისუფლებას.



გვერდზე გადაიდო სახალხო საქმე. იმედგაცრუებული ხალხი შეეგუა ბედს და ნაცებს, მიიღო მათ მიერ შეთავაზებული ცხოვრების წესი. ვინც არ მიიღო, გასული წლის 26 მაისის საპროტესტო მიტინგს მიაშურა. პროტესტანთა „სითავხედით“ გამძვინვარებულმა იმპერატორმა, ჭკუის სასწავლებლად აუწერელი სისასტიკით დაარბევინა მცირერიცხოვანი მომიტინგეები. იყო სისხლიც და მსხვერპლიც.

26 მაისმა კიდევ უფრო დათრგუნა, ისედაც დათრგუნული მოსახლეობა. საბოლოო ჯამში მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – საქართველოს პარლამენტში მოკალათებული უმრავლესობა, დიქტატურაში გადაშვებული ქვეყანა, ერთი ადამიანის სახელმწიფო, რომელსაც სახელმწიფოებრიობის მხოლოდ ატრიბუტიკა შემორჩა, დაბეჩავებული ხალხი, გალაღებული ხელისუფლება და ხელისუფლების გალაღებული ნათესავ-მეგობრები.

ამგვარი სულისკვეთება იდგა თებერვლის პარლამენტის სხდომათა დარბაზში ვირტუალური მომავლის ხატვით, ადამიანის კეთილდღეობისთვის სადაზღვევო სისტემის აბსტრაქტული თემით, იუსტიციის სახლში პირდაპირ მანქანაში ჩაის და პასპორტის მორთმევის პერსპექტივით და სხვა სისულელეებით.

იდილიური აწმყო და მომავლის ხედვა ოპოზიციის მწარე სიტყვებმა დაარღვია. სახელისუფლებო სცენარში შეტანილმა დისონანსმა, თავმომწონე, ხალხის ბედზე ზრუნვით გათანგული იმპერატორი მოთმინებიდან გამოიყვანა და გადმოსცდა ბაგეთა მისთა შავსიტყვათა ღვარ-ცოფი – „ტალახში გორაობა თქვენი ბუნებრივი მდგომარეობაა, ახლა მანდატურებს ვთხოვ და გაგყვებიან, ჩაგაწვენენ ნამდვილ ტალახში ბოლომდე, კარგად დაგზილავენ, როგორც საჭიროა და გაგივლის ეს ფანტაზია“, – მიახალა ზეციდან დაშვებულმა ღმერთმა მიწაზე მდგომ არარაობას („ღმერთის“ წარმოსახვითძ, ყმა ბაღათურიას იმ ჭეშმარიტებისათვის, მთელმა დუნიამ რომ იცის, მაგრამ ხმამაღლა არავინ ამბობს, მით უმეტეს წმინდა „ტაძარ“ პარლამენტში.

გასულ წელს ყმა ჩახვაძეს ჰქონდა სურვილი ელიტარული კორუფცია ხელისუფლებისთვის დაებრალებინა, მაგრამ, იმპერატორის უხეში შელაპარაკების შემდეგ, ლამის დამნაშავედ საკუთარი თავი გამოაცხადა.

„მონა“ ბაღათურიამ კი თავს უფლება მისცა ეთქვა ის, რამაც წონასწორობიდან გამოიყვანა ტრანკვილიზატორებით გაჭყეპილი იმპერატორი, თანაც ისე, ცოტა დააკლდა, ადგილიდან წამომხტარს ბაღათურიას თავზე მუშტცვენა აეტეხა.

თანამედროვე კომუნიკაციის წყალობით ქართველმა ტელემაყურებელმა კარგად იცის იაპონიის, უკრაინის, თუნდაც საკუთარი პარლამენტის მუშტის ქნევა. მაგრამ ცოტა დააკლდა ეხილა ჯერ არნახული, არგაგონილი – პრეზიდენტის მკლაური პარლამენტართან.

ქვეყნისათვის, პრეზიდენტის ასეთი საქციელი, ნიკოლოზ სააკაშვილის (სააკაშვილის მამისძ სამკურნალო ტალახში გორაობის ტოლფასი იქნებოდა. თუმცა შვილი სააკაშვილის სიტყვებმა ქვეყანა ტალახის აბაზანაში თუ არა ტალახიან შხაპში მაინც მოაქცია.

ბაღათურიას მიმართ ნათქვამი სიტყვები, მარტო მას არ ეკუთვნოდა, არამედ იმათ, ვინც ბაღათურიას მსგავსად ფიქრობს. ასეთი კი თუ მთელი საქართველო არა, მისი მოსახლეობის 90%-ია.

პრეზიდენტს, რომ ოდნავ გზა აბნეოდა - ნაცვლად უკან წასვლისა წინ გადაეღობა ნაბიჭი, დარბაზში რაც ატყდებოდა, ძნელად ასაწერი იქნებოდა, ანუ უმცირესობისადმი უმრავლესობის უწმაწურ ვერბალურ შეტევას მოყოლილი „გრადის“ მსგავსი მკლაური.

შევდივარ ოპოზიციის მდგომარეობაში, ვინაიდან მსგავსი მე და ჩემმა კოლეგებმაც განვიცადეთ 2003 წლის ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის დროს, როდესაც დარბაზში შემოვარდნილმა სააკაშვილმა და მისმა ნაცებმა, ჯოხებით და მყარი საგნებით შეიარაღებულმა, მერხებზე დაიწყეს ხტომა, ლანძღვა-გინება.

ნაციონალთა მიერ გაკეთებულ ვიწრო დერეფანში დედის გინების თანხლებით მივავალთ, კარგად გვესმოდა - ერთი ხელის გაქნევაც საკმარისი იქნებოდა ნაცთა მიერ ჩვენი ჩაქოლვისათვის.

2012 წლის თებერვლის დარბაზს სწორედ ის ხალხი ამკობდა - უმრავლესობის სახით, ვინც 2003 წლის სხდომას დაესხა თავს. მათი დევიზი გუშინაც და დღესაც არის უხეში ძალა, ტყუილი, შეურაცხყოფა, გამდიდრება, ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენა.

2012 წლის თებერვლის საპარლამენტო სხდომამ ერთობ არასასიამოვნო გაკვეთილი ჩაუტარა მოსახლეობას – ვულგარული ქართული გამოთქმის მსგავსი – „ეს ჩემი ასო კიტრია და უნდა ჭამოო“.

სააკაშვილი წამსვლელი არ არის. მას ტყუილად არ შეუცვლია კონსტიტუცია. ის იმპერატორივით სიკვდილამდე ბატონობისთვის არის მომართული.

ამაოდ ჰგონია ახალ ოპოზიციას, რომ არჩევნებით სააკაშვილს დაამარცხებს. არც ის არის დასაჯერებელი, რომ აშშ-ი ყოფნისას სააკაშვილი არადემოკრატიულობისთვის შეახურეს და გზა მიანიშნეს პოლიტიკიდან გასასვლელი კარისკენ. შეხურებული ასე არ იქცევა. პირიქით, როგორც ჩანს, მან ყოველმხრივი მხარდაჭერა მოიპოვა, რაც მარტივი ამერიკული ჭეშმარიტების დამადასტურებელია – მერე რა, რომ ძაღლიშვილია, ის ჩვენი ძაღლიშვილია.

აშშ-ს მოწონს სააკაშვილი, უფრო მეტად კი საკუთარი პირმშო – ფერად-ყვავილოვანი რევოლუცია. სააკაშვილისა და ნაცების გაშვება ამერიკული პროექტის „გაფარჩაკება“ იქნება. გააკეთებს ამას აშშ? ცხადია, არა. პირიქით, მხარს დაუჭერს ისე, როგორც ჰაიტის დიქტატორებს მამა-შვილ დუვალიეებს.

რით განსხვავდება მიხეილი ჰაიტელ დიქტატორ ბეიბი დოკისგან? ისიც ისე, როგორც სააკაშვილი, ტალახში ზელდა თავის ოპონენტებს სადამსჯელო პოლიციით – ტონტონ მაკუტით.

ასეთი ხომ არაერთხელ იწვნიეს ქვეყნის სხვაგვარად მოაზროვნეებმა, როგორც გასულ მაისს, ისე 2007 წლის შემოდგომაზე? იწვნია და მერე როგორ, თუმცა სტრატეგიული პარტნიორის აღშფოთება არ გამოუწვია.

აშშ-ს მოსწონს მის მიერ შექმნილი, თუნდაც საკუთარი ხალხისთვის მიუღებელი ხელმძღვანელი, ვინაიდან ასეთი ზედმიწევნით კარგად ასრულებს დავალებას. გაუწონასწორებელი ხელისუფალის არჩევა არა მარტო ამომრჩევლის გამოუსწორებელი შეცდომაა, არამედ სტრატეგიული პარტნიორისაც, მაგრამ მას ეს არ ანაღვლებს.

– მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. ჩემთვის კარგა ხანია გარკვეულია, ვინ არიან სააკაშვილი და მისი მხარდამჭერი აშშ.

თქვენთვის, პატივცემულო მკითხველო?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### „პოლიციამ უკან დაიხია“

ხაშურის პოლიციის შენობაში გარდაცვლილი სოლომონ ქიმერიძის საქმის ირგვლივ ყოველდღიურად ახალ-ახალი ინფორმაცია ვრცელდება. ვანო მერაბიშვილმა ხაშურის პოლიციის უფროსი გიორგი ხარჩილაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა და რიგით დეტექტივად ჩამოაქვეითა.

ბიძინა ივანიშვილი ამ ფაქტის გამო ამბობს, რომ პოლიციამ უკან დაიხია, რომ ასეთი რამ ასე სწრაფად პირველად მოხდა.

**„ახალი თაობა“.**

### დასაქმებულები ყველაზე ხშირად სამუშაო პირობებს და ზედმეტ სიმკაცრეს უჩივიან

ერთ-ერთი მოქალაქის თქმით, შეიძლება საღამოს 8 საათზე დაგვირეკოს უფროსმა, მოითხოვოს მივიდეთ ოფისში და რაღაც შეხვედრისთვის მოვემზადოთ სასწრაფოდ. მისი დამოკიდებულება მარტივია: არ მოგწონს? წადი სახლში, შეუცვლელი ამქვეყნად არავინაა.

**„რეზონანსი“.**

### „ვანო მერაბიშვილს ბოდიში ვერ უშველის“

– ამბობს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია, – ვპირდები ახალაიებსაც და სააკაშვილსაც, რომ სწორედ სამეგრელოდან დავიწყებთ ამ ავტორიტარული რეჟიმის და კლანების დაშლას... მოსახლეობის განწყობა მიუთითებს, რომ მთელი ქვეყანა მზად არის არჩევნების გზით ხელისუფლების შესაცვლელად.

**„ყველა სიახლე“.**

### ჯონდი ბაღათურია სააკაშვილზე ახალ კომპრომატებს აქვეყნებს

„მაქვს ორი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, 2009 წელს მისმა ოჯახმა „ქართუსგან“ საჩუქრად 456 ათასი, 2010 წელს კი 644 ათასი ლარი მიიღო, მაგრამ ეს თანხები დეკლარაციაში შეტანილი არა აქვს, რაც კორუფციაა“.

**„ქართული სიტყვა“.**

### აღიარებს თუ არა სააკაშვილი ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობას?

სააკაშვილის ანტიეროვნული ხელისუფლება უკვე შეეგუა ტერიტორიების დაკარგვას და შესაძლოა, უახლოეს მომავალში მიიღოს არაადეკვატური, ქვეყნისთვის დამღუპველი გადაწყვეტილება და სეპარატისტული რეგიონების აღიარების მიმართულებით მთელ რიგ დათმობებზე წავიდეს.

**„საქართველო და მსოფლიო“.**

# ჩემი უჩინმაჩინის ქუდი

**მაიას კალენდრის წინასწარმეტყველებით, 2012 წლის 21 დეკემბერი მწვანე პლანეტის აპოკალიფსური დასასრულის თარიღია. მისი წინმსწრებია ჩვენს ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები. სად არჩევნები და სად სამყაროს აპოკალიფსური დასასრულიო, იტყვის მკითხველი და მართალიც იქნება. მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, თუმცა არც პესიმიზმია უცხო. მინდა, დაგარწმუნოთ, 21 დეკემბერს ქვეყნის დაქცევის ჰიპოთეზა ლელა კაკულიას წინასწარმეტყველებას ჰგავს და არა — რეალობას. ჩვენი პლანეტა რამდენიმე მილიარდს თუ არა, მილიონ წელიწადს ჩვეულებრივი რეჟიმით იბრუნებს მზის გარშემო და მისი 21 დეკემბრის არდაქცევის გარანტიას მე გაძლევთ, თუ იგი ჩვენ თვითონ არ ავაფეთქეთ. ჩემი ფიქრით, წელს კატასტროფის წინაშე ჩვენი დედამიწა კი არა, ჩვენი ანტიხალხური ხელისუფლება და მისი რეჟიმია. ოკეანის გაღმა ნანატრი ვიზიტით გადაფრენილმა მაგარმა მაშამ ოვალურ კაბინეტში თხუთმეტწუთიანი ისეთი მაღალწნევიანი და ყინულივით ცივი შხაპი მიიღო, რომ იქიდან გამოსულს ჟურნალისტების წინაშე ცერი თითით ცხვირის მოწმენდა აღარ დასჭირდა. ამ ერთში მაინც გაგვიმართლა და გადავრჩით საქვეყნოდ თავის მოჭრას. რაც შეეხება ობამას მადლობას, იგი დაიმსახურა რუსეთზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანების მხარდაჭერისათვის. ერთადერთი კოზირი, რომელიც სააკაშვილს ხელთ ეპყრა რუსეთის წინააღმდეგ, სულ ხვეწნა-მუდარით ჩააბარა მედვედევს და, მისი ფიქრით, მომავალ კოლეგას ვლადიმერ პუტინს წინასწარ გაუღო კარი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ეს რომ ასე მოხდებოდა, 2011 წლის დამდეგს მითქვამს ერთ-ერთ პუბლიკაციაში.**

ხელისუფლება, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი საჯილდაო ქვად ექცა და ბევრი ახალი თავსატეხი გაუჩინა, შეცდომას შეცდომაზე უშვებს. სააკაშვილის წუთშესვენებასავით მოკლე ვიზიტი თეთრ სახლში სულაც არ ჰგავდა ერთი ქვეყნის პრეზიდენტის საერთაშორისო ნორმებით აპრობირებულ ვიზიტს მეორე ქვეყანაში. არც ის ვიცით, ეს იყო ვასალის მოულოდნელი გამოძახება თუ იმავე ვასალის საოცნებო სტუმრობა ოვალურ კაბინეტში, ოპოზიციურად განწყობილი ქართველი ხალხის გულის გასახეთქად. მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, რამდენი დაუჯდა ეს **„სიამოვნება“** ჩვენს გაღატაკებულ მოსახლეობას. მისი შედეგები არჩევნების შემდეგ გამოჩნდება, ჯერჯერობით კი ბორდელი ტელეარხები ქვეყნის სასიცოცხლო პანაცეად ხატავენ. ასეთ დროს, დავით გურამიშვილი, რომელსაც 2005 წელს დაბადებიდან 300 წელი შეუსრულდა და ხელისუფლებამ ფეხებზე დაიკიდა, ჩვენი ბედოვლათი მთავრობის მისამართით იტყოდა, **„რაზედაც მიდგა არ დარჩა, ის საქმე წაუხდომია.“**

სააკაშვილმა **„რეფორმითაც“** მოაწონა თავი ოკეანგაღმელ კოლეგას. მე არა მგონია, ნაცების გარდა, საქართველოში იყოს ერთი გულუბრყვილო კაციც კი, ვისაც მართლაც სჯერა, რომ ობამამ არ იცის ქართული რეფორმების ავან-ჩავანი. მე ვიტყოდი, ზედმიწევნით იცის ჩვენი „რეფორმირებული“ პოლიციის 2011 წლის 26 მაისის **„საგმირო საქმეები.“** იცის, თუ რა ხდებოდა მოსკოვში ბალოტნაიაზე შეკრებილი ოპოზიციის გასანეიტრალებლად. ზუსტია სააგენტო „საქინფორმის“ კომენტარი: **„დემოკრატიის გასავითარებლად სწორედ აშშ-ს დახმარების შედეგად, ქარტიაზე ხელმოწერიდან ორნახევარი წლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების სადამსჯელო ოპერაცია მივიღეთ, რომელმაც 2011 წლის 26 მაისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სასტიკად ცემა ათასობით მომიტინგეს (მ.შ. ჟურნალისტებს) და ათობით სასიკვდილოდ?! ხოლო მოსკოვში, სადაც ბოლო თვეებში გამართულ მრავალათასიან მიტინგებზე „დასავლური დემოკრატებისა და უფლებადამცველების“** (ვამატებ — ქართული ტელეარხების — **შ.ზ.**) დიდი სურვილის მიუხედავად, არ დადასტურებულა მომიტინგეთა შეურაცხყოფის არც ერთი ფაქტი, (ალარაფერი რომ ვთქვათ ცემაზე, დაპატიმრებებსა და მკვლელობებზე!) — თურმე **„სისხლიანი დიქტატურა სუფევს ჩეკისტი პუტინის ხელმძღვანელობით?!“** ყოველივე ამის შემდეგ, სააკაშვილი და მისი რუპორი ტელეარხები ღაღადებენ, რომ თურმე რუსეთში პოლიციის ისეთ რეფორმაზე ოცნებობენ, როგორიც სააკაშვილმა ჩაატარა საქართველოში. ჰგონიათ, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა და პრეზიდენტმა ობამამ არაფერი იციან ამის შესახებ. მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, 2011 წლის 26 მაისს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რამაც მსოფლიოს აჩვენა რეჟიმის რეალური სახე. ეროვნული ცნობიერების სტიმულიზატორი გახდა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, რომელმაც დაგვიმტკიცა, რომ მაღალი რანგის პოლიტიკოსია და მოპირდაპირე ბანაკში სასოწარკვეთილი ქირქილი, ხავსზე მოჭიდებაა. ახლა, როცა ქვეყანა სახიფათო მოსახვევშია, ჩვენს ეროვნულ ძალებს, აღარ ვამბობ ოპოზიციას-მეთქი, დიდი შანსი აქვს, რაც გამოიხატება **„ფორმულა-1“**-ის დევიზით — **„გაიმარჯვე მოსახვევში.“ „ქართულ ოცნებას“** და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს, ყველა ეროვნულ ძალას მოვუწოდებ **„ფორმულა-1“**-ის მოსახვევში გამარჯვების შანსი ხელიდან არ გაუშვას. ბატონი ბიძინა 2011, ანუ კურდღლის წელიწადში შემოვიდა პოლიტიკაში, რომლის დევიზია — **იყავი პირველი.** ბატონი ბიძინა პირველი უნდა იყოს **„სახიფათო მოსახვევში“** და უთუოდ გაიყვანს ჩვენს ხალხს სამშვიდობოზე. აქ უნდა შევახსენო მკითხველს მარკიზა ლაფაიეტელის სიტყვები — **„ყოველი ხალხი მაშინ გახდება თავისუფალი, როგორც კი ამას ნამდვილად მოისურვებს.“** ადრეც მითქვამს, ერთი ივანიშვილი მაკედონელიც რომ იყოს, ვერაფერს გახდება, თუ ჩვენი ხალხი არ დაუდგა გვერდით გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სურს თავისუფლება, ოღონდ დასავლურ ღირებულებებსა და ეროვნული ტრადიციების ფუნდამენტზე. რა თქმა უნდა, ხალხის უმრავლესობაში არ იანგარიშება სააკაშვილის ხელდასხმული ჩინოვნიკები და ის დეპუტატები, რომლებსაც თავისუფლება თავიანთი ინგლისური დონის ჯამაგირი და უმწეოთა ნიგერიული პენსია ჰგონიათ. აშშ-ს პრეზიდენტმა კარტერმა თეთრ სახლში დედა მიიყვანა. კონსტიტუციით იქ ცხოვრების უფლება მხოლოდ პრეზიდენტის ცოლშვილს აქვთ. ამერიკელებმა კარტერის დედა სახლიდან გამოაბრძანეს. ასეთია კანონის უზენაესობა. ვის არ ახსოვს სატელეფონო მოსმენის სკანდალი და პრეზიდენტ ნიქსონის იმპიჩმენტი?! საქართველოში მსგავსი რამ წარმოუდგენელია. ჩვენში შეიძლება პრეზიდენტმა კაცი მოკლას და კანონი მაშინაც უძლურია. სააკაშვილს ბუზს ვერავინ აუფრენს. ესეც ჩვენი რეფორმირებული პოლიცია და სასამართლო!



**დღეს საქართველო სიყალბისა და მოჩვენებითობის ჭაობია — ყალბი ტაში, ყალბი სიცილი, ყალბი ტირილი, ყალბი სადღეგრძელო, ყალბი ინტელექტი, ყალბი ლიცენზია, ყალბი სასამართლო, ყალბი მსაჯობა, ყალბი პატრიოტიზმი, ყალბი სიყვარული, ყალბი სასწორი, ყალბი დაპირება... სიყალბის ჭაობში ვართ-მეთქი.** ცივი შხაპის მიღებისთანავე ბათუმში ჩამოსულმა ბატონმა დავით ბაქრაძემ ისეთი ბლეფი დაახეთქა, თვით საქართველოს დამაქცევარ სულთან აზიზსაც კი გააოგნებდა. ოღონდ ოშკი შეკეთდეს და მეჩეთი თუ უნდათ, ჩემს ეზოში დადგანო. ზღაპრებს თავი დაანებეთ! ბატონი დავითი თუ თავის ეზოში მეჩეთს დაადგმევინებს, მაშინ ოშკი რაშილა სჭირდება?! პარლამენტში ჯონდი ბაღათურიას პოზიციის წინააღმდეგ ისეთი სისულელეები გაისმა, საქართველო კიდევ უფრო შემეცოდა. ბათუმში მეჩეთი კი არა, თურქული ოკუპაციის მუზეუმი გვჭირდება, თუ გვინდა, 1921 წელი არ განმეორდეს. ოშკი და ხახული კი არ სტკივათ, დღეს ბათუმში შემოსულ თურქებს ავარჯიშებენ კარს მომდგარი არჩევნებისათვის. ჩვენც ჩვენი უძლურობისა თუ გაუბედაობის გამო, ვეგუებით ამ სიყალბეს, სადაც საზოგადოებრივი აზრი სრული უაზრობაა — საქართველო შეძრულია მეჩეთების თემით, მაგრამ ხელისუფლება, როგორც ვთქვი, თავისას მიერეკება. ათასობით პედაგოგი, მეცნიერი, მოღვაწე შეძრწუნებულია განათლების რეფორმის გაყალბებით. ეს რეფორმა კი არა, საათივით აწყობილი საგანმანათლებლო სკოლის ძალისმიერი ნგრევაა. ლამინარული დინება უწესრიგო და ქაოსური გახდა. რეფორმის ნილბიანი ობსკურნატი და რეტროგრადი მინისტრების (ლომაიათი დაწყებული, შაშკინით დამთავრებული) გამოისობით საყოველთაო განათლება ელიტარულ ჩარჩოში ჩასვეს. იგი ახლა მდიდრების ფუფუნებაა. 12-წლიანი საშუალო სკოლა მძიმე ტვირთად დააწვა გაღატაკებულ მოსახლეობას. ბაკალავრიატდამთავრებული ახალგაზრდა, რომელიც 18 წელიწადი მერხზე იჯდა, არავითარ პროფესიას არ ფლობს და მისთვის სასურველი სამსახური მიუწვდომელია. არცთუ დიდი ხნის წინათ, თავად ბატონმა სააკაშვილმაც საჯაროდ განაცხადა, განათლების რეფორმამ არ გაამართლაო. არ გაამართლა — ძალიან მსუბუქადაა, უნდა ითქვას, რომ დაგვაქცია.

**მე გახლავართ მთავარი რეფორმატორი კონსერვატორებსა და მთავარი კონსერვატორი რეფორმატორებს შორის. ვფიქრობთ, ეს ცოტათი მაინც დააფიქრებს მკითხველს. მე კონსერვატორი ვარ, როცა ვამბობ,. რომ მძულს თურქეთი, რომელიც ჩემს წინაპრებს ცეცხლითა და მახვილით აძალებდა უცხო რელიგიას. ახლა სხვა დროა და მეთოდი შეიცვალა. ახლა მოყვრად მოდის და ოქროთი ახერხებს თავისი იდეოლოგიის ექსპანსიას არამარტო აჭარაში, არამედ სრულიად საქართველოში. ისეთ „რეფომატორებს“, ამას მხარს რომ უჭერენ, ჩემიანად ვერ მივიჩნევ. მე აქ გამოუსწორებელი კონსერვატორი ვარ. მე რეფორმატორი მაშინ ვარ, როცა სამი ბნელი საუკუნის მანძილზე დამპყრობლის უღელქვეშ განაწამებ აჭარლებს მოვუწოდებ მამაპაპურ მართლმადიდებლურ რწმენასთან ზიარებას. ვინც ამ გზაზე წინ გადამეღობება, იგი ჩემი მტერია. ამ შემთხვევაში მე რეფორმატორი ვარ.**

ახლა მსოფლიო აღარ არის ის, რაც 40-50 წლის წინათ იყო. ცხადია, საქართველოსაც სხვა რეჟიმში უწევს ცხოვრება. სსრ კავშირი და ვარშავის ხელშეკრულება აწონასწორებდა ნატოს პოზიციებს დანარჩენი სამყაროს მიმართ. სსრ კავშირის დაშლამ ხელი შეუწყო ევროკავშირის შექმნას. ვარშავის ხელშეკრულების გაუქმება და სსრ კავშირის 15 სახელმწიფოდ დაშლა, შეუქცევადი ფაქტორი გახდა ატლანტიდან წყნარ ოკეანემდე ევრაზიის კავშირის შესაქმნელად. ამ თემაზე მასმედიაში ღია დისკუსია გვარწმუნებს, რომ ამაში არის რეალობის ნიშნები. როცა ჯერჯერობით ვერ შევძელით რუსეთთან და ევროკავშირთან ურთიერთობის დალაგება და ხვალ ახალი საკონტინენტთაშორისო კავშირის პირისპირ აღმოვჩნდეთ, ძნელად სათქმელია, რას მოვიმოქმედებთ.

ნიუ-იორკში დაბადებული მოძრაობა **„უოლ-სტრიტის ოპერაცია“** მთელ მსოფლიოს მოედო. ხალხი არ ეგუება და აკრიტიკებს ბანკირებისა და ოლიგარქების მსუნაგ მადას. აკრიტიკებს თანამედროვე კაპიტალიზმს. ახლახან „ლიტერატურნაია გაზეტაში“ წავიკითხე ჩვენი გამოჩენილი რეჟისორის რეზო ჩხეიძის ბრწყინვალე ინტერვიუ (იგი „საქართველოს რესპუბლიკამაც“ გადმობეჭდა!). ის ამბობს, რომ სძულს კაპიტალიზმი და ხაზს უსვამს სოციალიზმის უპირატესობას საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში. ბატონი რეზო ის კაცია, რომელიც დასავლურ ღირებულებებს ვერავინ ასწავლის. ახლა ჩვენი პრესა აჭრელებულია **„პრორუსული“** თუ **„პროდასავლური“** პოზიციის ანალიზით. სამწუხაროდ, თუ საუბედუროდ, არავინ ლაპარაკობს და კუთხეშია მიგდებული **„პროქართული პოზიცია.“** გამოთქმა **„მე ვარ ქართველი და მე ვარ ევროპელი“** საპნის ბუშტია. ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები. ჩვენ ბიბლიური ერი ვართ და ქართველები გვქვია. **მე სრულიად მაკმაყოფილებს ჩემი ეთნოსის აღიარება. მე მაღიზიანებს და ნერვებს მიშლის უცხოეთიდან კულტივირებული სადიზმი, ძალადობა, ნარკომანია, გარყვნილება, ფულის კულტი. ყველა სხვა უბედურება, რითაც გაჯერებულია ქართული სატელევიზიო ეთერი. „შედეგიც“ აშკარაა.** დღე არ გავა, საზარელი მკვლელობის სიუჟეტები არ გვაჩვენონ ბორდელმა ტელეარხებმა — „პირველი არხი“, „რუსთავი-2“, „იმედი“, „აჭარა“ და სხვა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფუნქციათა ანულირება უარყოფითად აისახა მეცნიერებასა და კულტურაზე — კატასტროფულად ქვეითდება მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული სამეცნიერო სკოლების ფუნქციები და ავტორიტეტი. დღეს ყველაფერზე წამსვლელი და მკადრებელი ჩინოვნიკების გამოისობით, ქართველი კაცი მიწაზეა გართხმული. ზუსტად ისე, რუსები რომ იტყვიან, „Страх убивает разум“. ჯერ კიდევ ადრე, აკადემიკოსი რაუშენბახი წუხდა „Не дай бог, найдется недоучка, который попытается переделать россииско-советскую систему образования по западным лекалам“. საბჭოთა განათლების სისტემას თვით ამერიკის პრეზიდენტები და თვით სახელმწიფო დეპარტამენტიც კი აღიარებდნენ, მ.შ. ეიზენჰაუერი და კლინტონი. ჯერ კიდევ როდის წუხდა პუშკინი — „Россия никогда не имела ничего общего с остальною Европою - история ее требует другой мысли, другой формулы“. პუშკინმა ყველა რუსსა და ქართველზე უკეთ იცოდა, რა იყო ეს **„დრუგოი ფორმულა.“** თერგდალეულების და ილია ჭავჭავაძის სკოლაც ამას გვასწავლიდნენ. **ევროპიდან ჩვენ უნდა ავითვისოთ საკაცობრიო იდეები და არა — მასონისტური შხამიანი კოქტეილი, რომლის ვირუსებით ინფიცირებულია ჩვენი ხელისუფლების სპექტრი. ისინი ამას რეფორმისტულ ნოვაციებს ეძახიან.**

**ეს ყველაფერი, რასაც ვსაუბრობ, არახალია. საუბარი მანამდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე პრობლემა პრობლემად რჩება. დიდია რისკ-ფაქტორი და მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება შეტევა ჩვენს ეროვნულ ღირებულებებზე. მე მთელი არსებით ვაფასებ და მხარს ვუჭერ ბიძინა ივანიშვილის ეროვნულ ღირსებებს, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და უჩინმაჩინის ქუდს დავიხურავ „ქართული ოცნების“ გამარჯვებისათვის. ამ მოძრაობაში მედროვე და კოსმოპოლიტი პიროვნების ადგილი ივანიშვილისაგან მკვეთრად შემოზღუდული და კონტროლს დაქვემდებარებული უნდა იყოს. სულ სხვაა დასავლეთთან პარტნიორობა და სხვაა ალენ დალესის დოქტრინის კულტივირება.**

თავად ევროპასაც აქვს თავისი პრობლემები ევროპაში. ეს არის მისი ისლამიზაციის სერიოზული საფრთხე. 2010 წლის ბოლოს პარიზში კონფერენცია მიუძღვნა (გაიმართა **„შერატონის“** დარბაზში) ამ პრობლემას. ზოგი მონაწილე ხაზგასმით ამბობდა „Россия жива, она еще спасет всех“. ევროპელებს ახსოვთ, რომ რუსეთმა იხსნა ისინი ფაშისტური უღლისაგან. რუსეთის ძალა და ფუნდამენტი მართლმადიდებლობაა. ამიტომაც ებრძვიან მასონისტური ლოჟები ქრისტიანულ კულტურას. 7 აგვისტოს ომიც ინსპირირებული იყო და არა ისე, როგორც გვეგონა. ჯერაც არ გაგვიაზრებია ვის ინტერესებშია ორი — დიდი და პატარა მართლმადიდებლური ქვეყნის საომარი შეტაკება. ევროპის ისლამიზაციის თემა მხატვრულ ლიტერატურაშიც შეიჭრა. 2005 წელს გამოვიდა ელენა ჩუდინოვას წიგნი „Мечеть Парижской Богоматери“, რომელიც ბესტსელერად იქცა და ევროპის ქვეყნებშიც დაიბეჭდა. იგი იატაკქვეშ თურქეთშიც გამოიცა. როგორც ქალბატონი ელენა ჩუდინოვა ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, ევროპა იწყებს თავისი შეცდომების გააზრებას. ჩვენს შეცდომებს, ქართველი ვაირე-

**სადისკუსიოდ**

**რას ფიქრობთ ახლანდელ დროსა და სივრცეში საქართველოს ბედზე და როგორ გეოცნებებათ „ქართული ოცნება?..“**

ფორმატორების ლექსიკით, უდიდეს გამარჯვებად ვაფასებთ. **როცა ყველაფერს ფარდა აეხდება, კაცმა არ იცის, რა ბედი ეწევა ვაირეფორმატორებს. საბედისწერო აჭარის პრობლემები ზოგადქართულ პრობლემად იქცევა და ყველაფერი ისევ აჭარლებს დაგვბრალდება, ისევ აჭარლები გავხდებით განტევების ობიექტი, ისევ ისე თათრებს დაგვიძახებენ, როგორც აქამდე იყო. ამ დროს, ლევან ვარშალომიძეს და მიხეილ მახარაძეს აჭარაში მეჩეთის მშენებლობას ისევე არავინ ეკითხება, როგორც მე სტამბოლში ბორდელის გახსნას. მე თურქეთის მხრიდან არც 1921 წლის განმეორებას გამოვრიცხავ. კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ ქართველ საზოგადოებას. 2003 და 2004 წლის თბილისსა და ბათუმში კრიზისის დროს, თურქეთს დივიზიები ჰყავდა მზადყოფნაში. ორივეჯერ, თბილისსა და ბათუმში ივანოვის ჩამოსვლამ შეცვალა ვითარება. ამის შემდეგ კიდევ უფრო დავძაბეთ რუსეთთან ურთიერთობა. ჯერჯერობით ღმერთი ჩვენკენაა, მაგრამ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ბატონ სააკაშვილისათვის ქართველი მოქალაქეა და არა — ეთნოსი. 22 თებერვალს მან ავღანეთში დაღუპულ ბიჭებს გმირები უწოდა, მაშინ, როცა ისინი უაზრობის მსხვერპლნი არიან. ამ დროს, ჩვენი ხელისუფლება სულში აფურთხებს იმ 350 ათასი ქართველის ხსოვნას, ვინც თავი დადო მეორე მსოფლიო ომში სამშობლოს დასაცავად, და ანგრევს მათი ხსოვნის ობელისკებს ქუთაისსა და ბათუმში ისე, რომ ხალხს არაფერს ეკითხება.** ისიც კი წამოსცდა, სომხური ეთნოსი და ქართველობა ერთი და იგივეაო. ეს მთელმა საქართველომ მოისმინა პირდაპირი ეთერით, მაგრამ ჩვენს დედაქალაქში კრინტი არავინ დაძრა. მრავალთა შორის ჩარეცხილმა ინტელიგენციამ ესეც მადიანად ჭამა. აბა ერთი სომხეთის პრეზიდენტმა თქვას ეს და ნახავთ, რა დღეს წაჰკიდებენ ჰაოსის შთამომავლები. ზუსტად ისეა, რუსები რომ იტყვიან, სააკაშვილი „как хочет так и ворочит“. ესეც ჩვენი დემოკრატიის შუქურა ხელისუფლება.

თავისი ალოგიკურობითა და ავანტიურიზმით, სააკაშვილის გაუწონასწორებელი ქმედებები ნიკიტა ხრუშჩოვთან პორტრეტულ მსგავსებას გვიდასტურებს. ფაქტობრივად მიშას „ჩარეცხილები“ და „ლენინსკიე გორის“ მთების საზოგადოებრივი სახლის დარბაზში 1962 წლის დეკემბერში მოსკოვის ინტელიგენციის წინაშე ნიკიტას უზრდელური გამოხდომა ერთი და იგივეა. სხვაობა ისაა, რომ ერთს უფრო დიდი მასშტაბი ჰქონდა. ნიკიტა გაეროს ტრიბუნაზე ფეხსაცმელს აბრახუნებს, სააკაშვილი ჯერ ცხინვალში შევარდა, შემდეგ კი ბრძოლის ველიდან გამოქცეული მთავარსარდალი მიწაზე ფორთხავს, ჰალსტუხს ღეჭავს, ცოტა ხნის მერე სულს მოითქვამს და შერატონის აუზში მომღერალი ქალის (ვაი მის პატრონსძ ძუძუს ეპოტინება, ველოსიპედზე გადამჯდარი ინტერვიუს იძლევა, ლტოლვილების ტაშტები და სხვა ბარგიბარხანა გადააქვს ავტობუსში, საჭესთანაც თვითონ ჯდება, მაგრამ წესებს აქაც არღვევს, მანქანას დამცავი ქამრის გარეშე მართავს. ამერიკაში საგზაო წესების დარღვევას პრეზიდენტსაც არავინ აპატიებს. **დაბეჯითებით ვამბობ, ხრუშჩოვის ავანტიურა კი არ იყო ქვეყნისთვის სახიფათო, არამედ ის ხალხი, რომლებიც სკამს უმაგრებდნენ და მშვიდობის მოციქულს ეძახდნენ. ჩვენში დღეს მიშა კი არ არის საშიში, ის ხალხია, ვინც „მიშა მაგარიას“ გაიძახის. მათ შეგნებაში ერონული ცნობიერება და ქვეყნის ინტერესი ნულის ტოლია. „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთანავე ისინი მიწისფერი გველივით გამოიცვლიან პერანგს და წამებულის გვირგვინს დაიდგამენ. რეციდივები სახეზეა. მგონი, ზოგმა დეპუტატმა უკვე დატოვა უმრავლესობა. ღმერთმა შეუნდოთ თუ ქართულ საქმეს წაადგებიან.**

იმით დავასრულებ, რითაც დავიწყე. 21 დეკემბერს ქვეყნის დაქცევა გამორიცხულია, მაგრამ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ზოგისთვის ნამდვილად აპოკალიფსური იქნება. პოლიტიკურ წარღვნას არც არჩევნებამდე გამოვრიცხავ!



**შოთა ზოიძე,**

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ლეონიძის პრემიების ლაურეატი.

ქ. ბათუმი.

## ◎ ინვესტიციები

# უცხოელები ჩვენთან კაკანებენ, კვერცხს კი...

**ჩვენში დარჩეს და, ამ ჩვენმა „მაღალომ“ (მიხეილ სააკაშვილზე მოგახსენებთ) იმდენი იხტუნავა და იბაქიბუქა, რომ, გურულების თქმისა არ იყოს, ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ძამა, თავისავით მაღალრეიტინგული ქვეყანა ქეააშენა. ჰოდა, საქართველომ, რომელსაც ადრე მსოფლიოში კანტიკუნტად თუ ვინმე იცნობდა, ახლა ევროატლანტიკური რეიტინგის ისეთი „ტალავერი“ გააშენა, მთელი დუნია სანამყენე ჰიბრიდულ ჯიშებს აქედან ეზიდება. ეს ეკონომიკური და საგანმანათლებლო რეფორმებიო, შენ ხარ ჩემო ბატონი, ეს ბიზნესის საკეთებლად უიოლესი პირობებიო, ეს საბაჟო ნოვაციებიო და კიდევ რა აღარ, რამაც საქართველოს მსოფლიოში რეიტინგული ქვეყნის სწორუპოვარი იმიჯი შეუქმნა. ყოველივე ამან, ბუნებრივია, უცხოელი ინვესტორები იმდენად მოხიბლა და მოაჯადოვა, რომ აღარც კი უწყიან, ჩვენთან თანხების დაბანდებაში რომელმა რომელს დაასწროს(!).**

ეს „რეალურად აისახა“ კიდეც ქვეყნის ეკონომიკაში: თუ 2007 წელს ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2 მილიარდ დოლარზე მეტი იყო, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 660 მილიონ დოლარამდე შემცირდა. გამოდის, რომ 2010 წელს საქართველოში ოთხჯერ ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2007 წელს. ეს იმ ფონზე, როცა 2010 წლისთვის ჩვენ ბიზნესის კეთების სიიოლით მსოფლიოში მე-11 საპატიო ადგილზე ვიყავით!

იქნებ ბედმა გაგვიღიმა და შარშანდელმა წელმა შეავსო წინა წლის ჩავარდნა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მთავრობა რატომღაც ფეხს ითრევს და დაზუსტებული მონაცემები დღემდე არ გამოუქვეყნებია. „ბიჯი კაპიტალის“ პროგნოზით 2011 წელს საქართველოში 200 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი 850 მილიონ დოლარამდე ინვესტიციას პროგნოზირებს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ხალისიანია ეკონომიკის მდგრადი მინისტრის — ვერა ქობალიას განწყობა. მას ეიმედება, რომ მილიარდიან საინვესტიციო გეგმას ენერგეტიკისა და ტურიზმის სექტორებში შემოსული ფულით შეასრულებს. ინვესტიციის მოცულობის 1 მილიარდამდე შეკოწიწებას ვარაუდობს საქართველოს პრემიერი ნიკა გილაური.

და აი, ვიდრე საკუთარი მიღწევებით თავდაჯერებული ქართველი ხელისუფალნი ციფრების შელამაზება-შეკოწიწებით არიან გართული, მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის, უკრაინისა და რუსეთის მთავრობებმა კარგა ხანია დაიანგარიშეს შარშანდელი საინვესტიციო შემოსავლები და პრესაშიც გამოაქვეყნეს. კერძოდ, 2011 წელს სომხეთში თურმე 1 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შევიდა, აზერბაიჯანში — 3 მილიარდ დოლარზე მეტი, უკრაინაში — 7,5 მილიარდი დოლარი, რუსეთში კი უცხოელმა ინვესტორებმა წლის განმავლობაში 48,5 მილიარდი დოლარის კაპიტალი დააბანდეს. რუსეთის სტატისტიკის მონაცემებით, ეს 28,3 პროცენტით მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე. ანალოგიური სურათია აზერბაიჯანში, სადაც შარშან შესული ინვესტიციების საერთო მოცულობა წინა წლისას 3,2 პროცენტით აჭარბებს.

აბა, მითხარით, რა შეიძლება დავარქვათ ამას, პარადოქსი? მიშნაცების წყალობით, იცოცხლეთ, პარადოქსები არ გვაკლია, მაგრამ ეს კონკრეტული შემთხვევა, ვფიქრობ, განსაკუთრებით გამორჩეულია. საოცარია, პირდაპირ საოცარი, საქართველოში რე-



ფორმების მთელი პირამიდები ავაგეთ, ბიზნესის საკეთებლად უცხოელ ინვესტორებს, როგორც იტყვიან, [illegible] მოუწყვეტელი, ისინი კი, როგორც ირკვევა, მსხვილ-მსხვილ თანხებს თურმე ჩვენს მეზობელ ქვეყნებში — აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და რუსეთში აბანდებენ. უფრო საკვირველი კი ის არის, რომ ამ ქვეყნების დელეგაციები ხშირად სტუმრობენ საქართველოს — რეფორმების გასაცნობად და გამოცდილების გასაზიარებლად. თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი რუსეთის მმართველ პუტინსაც კი თურმე ერთი სული აქვს სააკაშვილი როგორმე შემოირიგოს და მსოფლიოში გახმაურებული რეფორმების საიდუმლო დასცინცლოს.

ვერ მივართვით, სააკაშვილი მაგის ჩიტია, რომ ჩვენი მტრის ანკესზე წამოეგოს? ისე, კაცმა რომ თქვას, ამ რეფორმებს საშიშროება „შინაური მტრებისგან“ უფრო ემუქრება, ვიდრე რუსეთელი აგრესიული პუტინისგან. მე პირადად, მაგალითად, ნაცების პატიოსნებასა და უმწიკვლობაში ღრმად რომ არ ვიყო დარწმუნებული, შეიძლება ქვეყნის სარეფორმო აღმშენებლობის ეფექტიანობაში ეჭვი შემპარვოდა და მეფიქრა — ეს ჩვენი „მაღალო“ რაღაცას ხომ იტყუება, თავსაც იმაიმუნებს და ჩვენც გვამაიმუნებსო?

არადა ეს ჩვენი ეკონომიკის ექსპერტები ისეთ აზრებს ავითარებენ, ეჭვი კი არა, ლამის ხალხს გულები დაუხეთქონ. პრეზიდენტი სააკაშვილი ერთთავად იმის მტკიცებაშია — მოზღვავებულმა ინვესტიციებმა აგვიკლოო, ექსპერტები კი ინვესტიციების ოთხჯერ შემცირებაზე ლაპარაკობენ. ამ სარეიტინგო ადგილმაც რომ გვიღალატა და პირველის ნაცვლად, მე-12 ადგილზე აღმოვჩნდით, ეს რაღას დავაბრალოთ, პრეზიდენტის არაინფორმირებულობას თუ განგებ თავის მოტყუებას? ან იქნებ ბაქიბუქის ხელოვნებას, რითაც მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოში დაუეჭვებლად, უდავოდ პირველ ადგილზეა?

ეკონომიკის ექსპერტ ნოდარ ხადურის შეფასებით, ის კი არ არის სათაკილო და ცუდი მაჩვენებელი, რომ ბიზნესის კეთების რეიტინგით მე-12 ადგილზე ვართ, არამედ ის, რომ ეს არის ჩვენი შესაძლებლობის რეიტინგი და არა რეალობის ამსახველი. მისი თქმით, ერთია, მთავრობა რა შესაძლებლობას სთავაზობს ინვესტორებს, და მეორე — რეალურად ქვეყანაში რა პირობებია შექმნილი ბიზნესის საკეთებლად. საქართველოში მეწარმეს შეუძლია ერთ დღეში, სულაც რამდენიმე საათში, დაარეგისტრიროს საკუთარი ფირმა, მაგრამ ვაი შემდეგ მუშაობის დაწყებას და საქმიანობის სარფიანად წარმართვას. ეს საკუთარ თავზე გამოსცადეს არა მარტო ადგილობრივმა მეწარმეებმა, უცხოელმა ინვესტორებმაც, რომელთა უდიდესი ნაწილი ჩვენში ამჯობინებს უძრავი ქონების შეძენას და არა წარმოების განვითარებას. ამის დასტურია თუნდაც ლიკანი, რომელიც დაანგრიეს უცხოელმა ინვესტორებმა და შემდეგ აღარ ააშენეს. ილუზიად გვექცა ფოთში ინდუსტრიული ზონის ამოქმედება, რომლის გახსნა მიხეილ სააკაშვილმა უთვალავჯერ გვაზეიმა. აღარაფერს ვამბობ ქუთაისზე, სადაც ეგვიპტელებს მილიარდი დოლარი უნდა დაებანდებინათ, ფაქტობრივად კი ისინი რამდენიმე გაზქურის გამოშვებით დაკმაყოფილდნენ და მერე ნაწვიმარზე შემორჩენილ გუბესავით აორთქლდნენ.

ასე რომ, თავს თუ არ მოვიტყუებთ და სააკაშვილისეული ფანტაზიით არ გამოვიკვებებით, სულაც არ გაგვიჭირდება იმის აღქმა, რომ უცხოელი ინვესტორები ხშირად ჩვენთან კაკანებენ, კვერცხს კი ფაქტობრივად სხვაგან დებენ. როგორც მთავრობა გვარწმუნებს, საქართველო ახალ-ახალი ინვესტიციებით კი არ იძეძგება, ძველებმაც კი, რომლებიც თავის დროზე შემოვიდნენ, ან შეაჩერეს საქმიანობა, ან საერთოდ ხელი აიღეს და გაუჩინარდნენ. ქვეყანაში მყარად ხელში შეგვრჩა მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელი ტყუილები და ცრუ რეიტინგი, რომლითაც ვამაყობთ და რომელიც ეკონომიკას, განვითარების ნაცვლად, აზარალებს, ამას კარგად ხვდებიან უცხოელი ინვესტორები და ქართველ ხელისუფალთაგან, რომლებსაც ტრაბახი უფრო ეხერხებათ, ვიდრე რეალური საქმის კეთება, თავი შორს უჭირავთ.

**ოთარ ხუციშვილი**

## ◎ დაყაჩაღება ქართულად

# ინვესტორმა, დარჩენილი ქონება დაკარგვის შიშით გაყიდა

როგორც სასამართლოს მასალებიდან ირკვევა, 2007 წლის აპრილში, სიღნაღში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი არქივის ორსართულიანი შენობა ვანო ცაბუტაშვილმა და ირაკლი ღვინეფაძემ იყიდეს. შემდეგ ურთიერთშეთანხმებით სახლი სართულებად გაიყვეს. I სართული ცაბუტაშვილს შეხვდა, II — ღვინეფაძეს. ყიდვის მომენტში „მყიდველებმა“ „გამსხვისებელთან“ — საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან გააფორმეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, სხვა პირობებთან ერთად ერთი თვის განმავლობაში სახელმწიფოსთვის 100 ათასი ლარი უნდა გადაერიცხათ.

იმავე წლის მაისში მდგრადი განვითარების სამინისტრომ დათქმულისამებრ შეამოწმა მყიდველთა მხრიდან ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობა. შემმოწმებლის დასკვნაში ჩაწერილია, რომ მყიდველებმა ყველაფერი დათქმულ ვადებში შეასრულეს. ამის გამო ცაბუტაშვილისა და ღვინეფაძის სახელებზე საკუთრების დამამტკიცებელი მოწმობები გაიცა.

2008 წელს ცაბუტაშვილმა მასზე განპირობებული ქონება მიჰყიდა ძმისცოლს, საქართველოსა და ირლანდიის მოქალაქეს სალივან ქიარა როზმარის. ქართველმა უცხოელმა შენობა კაპიტალურად შეაკეთა, შეუცვალა ინტერიერი და საქმიანობა დაიწყო.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრში აცხადებენ, ეტყობა ეს შენობა, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, რომელიღაც ჩინოსანს მოეწონა და მისი მისაკუთრება გადაწყვიტა.

2010 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ცაბუტაშვილსა და ღვინეფაძეს ნასყიდობის ხელშეკრულება, ვითომდა მყიდველების მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის მიზეზით, გაუუქმა, თუმცა, დოკუმენტში მითითებული არ არის, რა დარღვევებზეა საუბარი. ამის შემდეგ სამინისტრომ კახეთის სამხარეო სამმართველოს ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნების უზრუნველყოფა დაავალა. ამ უწყებამ სიღნაღის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახური ჩართო საქმეში. დავალება შესრულდა — კერძოდ, ირლანდიელსა და ირაკლი ღვინეფაძეს ქონება ჩამოართვეს.

დაზარალებულთაგან სალივან ქიარა როზმარმა სასამართლოს მიმართა. სიღნაღის რაიონულ სასამართლოში მან პროცესი მოიგო. ქობალიას კანტორამ განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ამავე დროს წამოიწყო ახალი დავა, რომელიც რუსთავის სასამართლომ განიხილა. მან ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნა დააკმაყოფილა: მასსა და ცაბუტაშვილ-ღვინეფაძეს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად ცნო.

ქართველების რძლის ადვოკატის მალხაზ პატარაიას განმარტებით, მისი კლიენტი საქართველოში აფიშირებული „საუკეთესო ბიზნესგარემოთი“ იმდენად არის შეშინებული, რომ საქართველოდან გაიქცა. უკვე საზღვარგარეთ მყოფმა ქიარა როზმარიმ იმის შიშით, რომ მთელ შეძენილ ქონებას წამართმევენო, გაყიდა სიღნაღში ნაყიდი 60 ჰა მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები, შეაჩერა ორი ბიზნესგეგმა და უარი თქვა მის მიერვე ჩამოტანილ ბიზნესპროექტზე. იგი სასამართლოში ჩივილს განაგრძობს და არ აპირებს, მდგრადი განვითარების სამინისტროს აჩუქოს უკანონოდ ჩამორთმეული.

ასეთია ნაციონალების რეჟიმის „აღთქმული ქვეყნის“ უცხოელებისთვის შექმნილი „იდეალური ბიზნესპირობები“.

**ზაზა ბილიხოძე**

# არჩევნები რუსეთში: ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რეაქცია

**ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებში ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს არჩევნებს რუსეთში. აქ თავმოყრილია ბი-ბი-სის კორესპონდენტების რეპორტაჟები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ადგილობრივი პოლიტოლოგებისა და ანალიტიკოსების რეაქციის შესახებ.**

### აზერბაიჯანი

„თქვენი გამარჯვება არჩევნებში მოწმობს რუსეთელთა მაღალ ნდობას თქვენდამი და თქვენი პროგრამისადმი, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში, დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას, კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების განმტკიცებას...“ – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა.

გამოკვლევების „აღმოსავლეთ-დასავლეთი“ ცენტრის ხელმძღვანელმა არასტუნ ორუჯლუმ ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აზერბაიჯანი არ უნდა ელოდოს დადებით ცვლილებებს პუტინის არჩევასთან დაკავშირებით.

„პროგრესი მთიანი ყარაბაღის მოწესრიგებაში არ იქნება, ვინაიდან პუტინი არასოდეს ყოფილა ამით დაინტერესებული“, – განაცხადა ორუჯლუმ.




### ბელარუსი

ბელარუსი ანალიტიკოსები მინსკს უწინასწარმეტყველებენ ახალ-ძველ პრობლემებს პუტინის კრემლის მთავარ სავარძელში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

„ლუკაშენკოს გამო პუტინი ჩხუბს არ დაიწყებს დასავლეთთან “, მაგრამ „ერთგვარ რესურსებს კვლავ გადაუგდებს მოძმე სლავებს“, რათა ბელარუსი გადააქციონ „ბუტაფორული სიმბოლოების პროვინციად“.

„პუტინი დაუბრუნდება პრობლემებს მოკავშირეებთან სადესერტოდ – კრემლში დაბრუნების შემდეგ, მაისში, მას დასჭირდება დრო შინა სარუსეთო სიტუაციის მოსაწესრიგებლად. ასე რომ, ბელარუს ხელმძღვანელობას მარაგში ორი-სამი თვე აქვთ. შემდეგ მინსკისთვის გამწვავდება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ევრაზიული ინტეგრაციის გაძლიერებასთან და გარდაუვალი დათმობების გამო მოსკოვისთვის ბელარუსულ აქტივებთან დაკავშირებით“, – მიაჩნია ინტერნეტ-გაზეთის „ბელორუსკიე ნოვოსტის“ პოლიტიკურ ანალიტიკოსს ალექსანდრ კრასოვსკის.

ბელარუსის პრეზიდენტმა უკვე მიულოცა ვლადიმერ პუტინს რუსეთის პრეზიდენტად არჩევა. რუსეთის არჩევნების დღეს, 4 მარტს ალექსანდრ ლუკაშენკო დარბოდა თხილამურებით ტრადიციული ზამთრის ფესტივალზე „მინსკის სათხილამურო“ და, როდესაც ჟურნალისტებს მიმართავდა, აღნიშნა: „ვინც უნდა გაიმარჯვოს რუსეთში პრეზიდენტის არჩევნებში, დინამიკურად განვითარდება ჩვენი ურთიერთობანი რუსეთის ფედერაციასთან. და ვისაც კი ესურვება, რომ გაუარესდეს ეს ურთიერთობანი, ეს არ მოხდება პრეზიდენტის არჩევნების ნებისმიერი შედეგის მიუხედავად.

### საქართველო

„რაც უნდა მოხდეს იმ ქვეყანაში, როგორი არჩევნებიც არ უნდა მოაწყონ ან დადგან, მათი დღევანდელი კურსი, დღევანდელი მათი პოლიტიკა, ამჟამინდელი ხელმძღვანელობის პირობებში, მათ არ აქვთ მომავალი, ვინაიდან ისინი წარსულს აშენებენ“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი სიტყვებით, წარსულის აგება გამოიხატება არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჰიმნის აღდგენაში და „საბჭოთა იმპერიის აღდგენის მცდელობაში“, არამედ „ეს მოხდება ქვეყნის უკან დაბრუნებაშიც“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ აღნიშნა, რომ თბილისი გმობს არჩევნების გამართვას საქართველოდან გამოყოფილ რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

„ჩვენ ვგმობთ არჩევნების გამართვას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად. ამისთვის საჭიროა სპეციალური ნებართვა, რის მისაღებადაც ჩვენთვის არ მოუმართავთ“, – განაცხადა კალანდაძემ.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ კენჭისყრით გამოცხადებული შედეგები ახლოსაა რუსეთში რეალურ განწყობილებასთან.

„თუ ადგილი ჰქონდა ფალსიფიკაციას, ეს იყო არაუმეტეს – 4-5 პროცენტისა. პუტინი, რასაკვირველია, მოიგებდა, რადგან აქვს უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსი და რუსეთის მოსახლეობის უმეტესობის მხარდაჭერა“, – განაცხადა შარაშენიძემ ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, ექსპერტის აზრით, საქართველოსთვის ის, რომ პუტინი გახდება პრეზიდენტი, შეიძლება იყოს უკეთესი ვარიანტი, ვიდრე დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობა.

„როდესაც იყო მედვედევი, გაჩნდა ილუზია დასავლეთისკენ სწრაფვისა, რომ რუსეთი წავა დემოკრატიის გზით. გაჩნდა ილუზიები, საქართველომ, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ომი, – ამბობს შარაშენიძე. – ახლა ილუზიები გაქრა – პუტინი დაბრუნდა, ყველამ იცის, თუ რა კაცია იგი, ევროპაც და ამერიკაც ფხიზლად იქნებიან, რაც, მე ვფიქრობ, უკეთესიცაა“.

### ყაზახეთი

„დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთელთა მხარდაჭერაზე დაყრდნობით თქვენ ცოდნას, ძალასა და გამოცდილებას არ დაიშურებთ ეკონომიკური ზრდის შემდგომი უზრუნველყოფისთვის, სოციალური კეთილდღეობისთვის, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისა და რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისთვის“, – ნათქვამია მისალოც დეპეშაში, რომელიც ვლადიმერ პუტინს გაუგზავნა ყაზახეთის ხელმძღვანელმა ნურსულთან ნაზარბაევმა.

ქვეყანაში რუსეთის მოქალაქეებისთვის გახსნილი იყო 14 საარჩევნო უბანი, 7 მათგანი ბაიკონურის კოსმოდრომის ტერიტორიაზე იყო განთავსებული, რომელიც რუსეთს იჯარით აქვს აღებული ყაზახეთისგან. რუსეთის საელჩოს მონაცემებით, ყაზახეთში მთლიანად ხმა მისცა 13 ათასზე მეტმა რუსეთელმა: ვლადიმერ პუტინმა მოაგროვა ხმების თითქმის 78 პროცენტი.

### ყირგიზეთი

ყირგიზეთის პრეზიდენტმა ალმაზბეკ ათამბაევმა სატელეფონო საუბარში რუსეთის პრეზიდენტად არჩეულ ვლადიმერ პუტინს მიულოცა „დამაჯერებელი გამარჯვება“.

„ყირგიზელთა უმრავლესობის გულებში რუსეთის წარმატება და მიღწევები ასოცირდება, სამართლიანადაც, თქვენს სახელთან“, – მოჰყავს პრეზიდენტის სიტყვები მის პრესსამსახურს.

ყირგიზეთში პუტინი ცნობილი და პოპულარული ფიგურაა: არც ისე დიდი ხნის წინათ მის პატივსაცემად ერთ-ერთ მწვერვალს მისი სახელი ეწოდა. წარსულში, ზოგიერთი სოციალური გამოკითხვის შედეგებით, რუსეთის პრეზიდენტი ყირგიზეთის წინა ლიდერებზე უფრო პოპულარულიც კია. ექსპერტები ამას განმარტავენ ყირგიზეთში რუსეთის ფედერალური არხების ვრცელი მაუწყებლობით.

ექსპერტები ვერ ხედავენ სერიოზულ პრობლემებს ყირგიზეთ-რუსეთის ურთიერთობებში, ზოგიერთები კი ერთგვარ გაუმჯობესებასაც კი პროგნოზირებენ.

ყირგიზეთში ცნობილი პოლიტოლოგი მარს სარიევი მიიჩნევს, რომ პუტინს ყველაზე უკეთესად ესმის ყირგიზეთ-რუსეთის ურთიერთობის ისტორია.

### უკრაინა

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა მიულოცა რუსეთის პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს გამარჯვება პრეზიდენტის არჩევნებში.

„გაიმართა სატელეფონო საუბარი, ნიკოლაი იანის ძემ გამოთქვა თავისი მილოცვები“, – განაცხადა უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელის პრესმდივანმა ვიტალი ლუკიანენკომ.

მისი სიტყვებით, აზაროვმა „გამოთქვა რწმენა, რომ კონსტრუქციულად გადაიჭრება დაგროვილი საკითხები ორმხრივ ურთიერთობებში“.

რუსეთის მხარემ ასევე განაცხადა, რომ მიიღო მილოცვა პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩისგანაც.

„პუტინის პრეზიდენტად არჩევიდან მე არაფერ ახალს არ ველოდები, – განუცხადა ბი-ბი-სი-ს უკრაინის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლადიმირ ოგრიზკომ. – ვინაიდან არ შეცვლილა რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის არსი. და ძნელად რომ იგი შეიცვალოს“.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი მიროსლავ პოპოვიჩი მიიჩნევს, რომ რუსეთში არჩევნების შედეგი გამოიწვევს უკრაინის საშინაო იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავებას.

### ტაჯიკეთი

ტაჯიკეთში ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას რუსეთში. ტაჯიკეთის პოლიტიკური ელიტისა და ქვეყნის მცხოვრებთა უპირატესობის ვარაუდი ამ საკითხში ერთმანეთს დაემთხვა – აშკარა ფავორიტი იყო ვლადიმერ პუტინი, რომელიც ტაჯიკეთში მიაჩნიათ ძლიერ პოლიტიკოსად, ვისზეც არის დამოკიდებული ბევრი პრობლემის გადაწყვეტა რუსეთ-ტაჯიკეთის რთულ ურთიერთობებში.

მეთვალყურეების თვალსაზრისით, ოფიციალურ დუშანბეს ეშინოდა კრემლში ახალი კაცის მოსვლისა და მხოლოდ ვლადიმერ პუტინის გამარჯვების იმედი ჰქონდა.

ტაჯიკეთის ხელმძღვანელობამ კარგად იცის რუსეთის პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური „თამაშის წესები“, ყველა დანარჩენი კანდიდატებისგან განსხვავებით, ვისთანაც მოუწევდათ ახალი ურთიერთობის აგება.

ამას გარდა, ზოგიერთი კანდიდატის პროგრამამ და წინასაარჩევნო რიტორიკამ აშკარად შეაშინა დუშანბე: კერძოდ, მიხეილ პროხოროვისა და ვლადიმერ ჟირინოვსკის მკაცრი პოზიცია, ვისი გამონათქვამებიც შუა აზიის სახელმწიფოებზე კარგად იყო ცნობილი.

ტაჯიკეთის ისლამური პარტიის ლიდერის მუხიდინ კაბირის აზრით, პუტინის გამარჯვება ხელსაყრელია არა მარტო რუსეთისთვის, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთვისაც.

წელს მოსკოვსა და დუშანბეს განზრახული აქვთ ხელი მოაწერონ შეთანხმებას ტაჯიკეთში რუსეთის სამხედრო ბაზის არსებობის შესახებ. ტაჯიკ პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ხელშეკრულების ამჟამინდელი ვარიანტი არ შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს და ხელისუფლებისგან მოითხოვენ უფრო გადამჭრელ მოქმედებებს – კერძოდ, მოსთხოვონ რუსეთის მხარეს დაპირებები ინვესტიციებისა სამხედრო თანამშრომლობის გაგრძელების სანაცვლოდ. ამას გარდა, დუშანბეში დარწმუნებული არიან, რომ სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების დისლოკაცია არ უნდა იყოს უსასყიდლო.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**„სუპერსამშაბათი“ აშშ-ში: ობამას მეტოქედ მზად არის გახდეს „ანტირუსი“ კანდიდატი მიტ რომნი**

მასაჩუსეტსის შტატის ექსგუბერნატორი ალიასკაზე აგროვებს ხმების 33,6 პროცენტს, რამდენიმე საათით ადრე მან გაიმარჯვა რესპუბლიკელებისთვის საკვანძო ოჰაიოს შტატშიც. მიტ რომნი უკვე გვპირდება, რომ თუ გახდება პრეზიდენტი, „ლაგამს ამოსდებს“ რუსეთს: განათავსებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებს, დაუმეგობრდება შუა აზიას და გასცემს გრანტებს რუსეთის ოპოზიციაზე ამერიკაში სწავლისთვის.

* * *

**სარკოზი უკმაყოფილოა საფრანგეთში იმიგრანტების ოდენობით: ზედმეტები გავასახლოთ, დანარჩენები ვაიძულოთ, რომ იმუშაონ**



საფრანგეთის პრეზიდენტად ხელახლად არჩევის შემთხვევაში განზრახული აქვს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გააუმჯობესოს ქვეყანაში უცხოელთა ინტეგრაციის სისტემა: შეამციროს იმიგრანტების ოდენობა 180-დან 100 ათას კაცამდე, გასცეს სოციალური დახმარება ქვეყანაში ცხოვრების ათი წლის შემდეგ, უმუშევრები აიძულოს, ჩაერთონ საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობაში.

* * *

**პერუში კოკაინის გატანის მცდელობისთვის ოთხი რუსეთელი დააკავეს: მათ ემუქრებათ 25-25 წლით პატიმრობა**



პერუს პოლიცია არ ასახელებს დაკავებულთა გვარებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი მხოლოდ სახელებს ასახელებენ: ესენი არიან 36 წლის ევგენი კ. და იური პ. აგრეთვე 25 წლის ანდრეი ვ. და ირინა კ. მთლიანად მათ ჩამოართვეს 12,6 კილოგრამი კოკაინი, რის გატანასაც ისინი ესპანეთში ცდილობდნენ. ნარკოტიკი დამალული იყო ჩემოდნების ორმაგ ფსკერზე და რუსეთის მოქალაქეების სხეულზე.

* * *

**იაპონიის იმპერატორი კვლავ ჰოსპიტალიზებულია**

ამჯერად მედიკოსებმა მას ფილტვებიდან სითხე უნდა ამოუღონ. საავადმყოფოდან 4 მარტს გამოწერის შემდეგ, სადაც მას გაუკეთეს ოპერაცია აორტოკორონალური შუნტირებით, აკიხოტოს რეაბილიტაცია არც ისე სწრაფად მიმდინარეობს, როგორც ამას ექიმები ელოდებოდნენ.



# „ცეცხლწაკიდებული“ წყლის ტარიფი „წყალწაღებულ“ ქვეყანაში

## რატომ უნდა ღირდეს ასე ძვირი ის, რითაც ასე მდიდრები ვართ?

(მეოთხე გვერდიდან) მეორე მხრივ, 2011-წლიდან წყლის ტარიფი თბილისის მოსახლეობისთვის მოსახლეობის ერთ სულზე 3,15-ლარია, მაშინ, როდესაც ამ ბრძანებულებიდან ჩანს, რომ წყლის ტარიფი 2013 წლის ჩათვლით მოსახლეობის ერთ სულზე უნდა იყოს 2,95 ლარი. **„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორი იორგ მათისი ამბობს, რომ „3,15 ლარი თბილისის მოსახლეობისთვის წყალმომარაგების მომსახურების ყოველთვიური სულადობრივი გადასახადია, გრაფიკით მიწოდების შემთხვევაში კი ფიქსირებული გადასახადი 2,4 ლარს შეადგენს. მოქმედი ტარიფი კი 1 კუბური მეტრი წყლის მოხმარებისთვის 26,6 თეთრია (არადა, თუ პრეზიდენტის ბრძანებულებას დავუჯერებთ, წესით, 25 თეთრი უნდა იყოს)“** და დასძენს, რომ ტარიფის ადეკვატურობას მარეგულირებელი კომისია ადგენს. ოღონდ აღნიშნავს, რომ **„დღეს მოქმედი ტარიფი კომპანიისთვის მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი ხარჯების დაფარვის საშუალებას იძლევა“.**

„საქართველოს მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე დარწმუნებულია, რომ სწორედ პრეზიდენტის ბრძანებულებითაა განსაზღვრული ტარიფების ზრდის დინამიკა და შენიშნავს, რომ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ არ ასრულებს აღებულ ვალდებულებას. გიორგი გაჩეჩილაძე: **„პრეზიდენტის 245-ე განკარგულების მიხედვით, 24-საათიანი წყალმომარაგება რუსთავშიც, თბილისშიც და მცხეთაშიც 2011 წლიდან უნდა დაწყებულიყო. რეალურად კი, მდგომარეობა დარჩა იგივე, ანუ ამ ვითომ შვეიცარიულმა, რეალურად კი რუსულმა კომპანიამ დაარღვია ხელშეკრულება და ჩემთვის გაუგებარია, პასუხს რატომ არავინ სთხოვს. უფრო მეტიც, შეღავათებიც მიიღო, რადგან იმავე განკარგულებით, გარემოს დაცვის სამინისტროს დაევალა სპეციალური ღონისძიებების ჩატარება, რომ ბევრი დავალიანება არ დაედოს ამ კერძო კომპანიას.“**

მართლაც, პრეზიდენტის ბრძანებულებაში ვკითხულობთ: **„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ გეგმა შეიმუშაოს ინვესტორის დახმარებით, რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა.“**

დავინტერესდით წყლის კომპანიის მიერ ჩადებული ინვესტიციების ოდენობითაც, თუმცა იორგ მათისს ისინი არ დაუკონკრეტებია (რაკი ხელშეკრულება საიდუმლოა, ჩვენ არ გვაქვს საშუალება, ვნახოთ, რა პერიოდში და რა ოდენობით უნდა განახორციელოს კომპანიამ ინვესტიციაძ, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „ნასყიდობის ხელშეკრულებით, 2018 წლამდე, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი„ მინიმუმ 220 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს“ და კომპანიის მიერ გაწეული სამუშაოების ჩამონათვალით შემოიფარგლა, რასაც კომპანიას, სავარაუდოდ, ნასყიდობის ხელშეკრულება ავალდებულებს.

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი კოკი იონათამიშვილი მიესალმება კომპანიის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს და წყალმომარაგებაში არსებულ პრობლემებს მომხმარებლის უყაირათობას უკავშირებს.

კოკი იონათამიშვილი: **„ჩვენ ახლოს ვთანამშრომლობთ წყლის კომპანიასთან და ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ნაბიჯები, რაც ამ კომპანიამ გადადგა. კერძოდ, იმ კოლექტორში, რომელიც მუდმივად ამოწმებს წყლის ხარისხს, შარშან შეიძინეს თანამედროვე ევროპული სტანდარტების ლაბორატორია, რომელიც წყლის ქიმიურ-ბიოლოგიურ კვლევას ატარებს 24-საათიან რეჟიმში. გადამზადდა მომსახურე პერსონალიც“.**

იონათამიშვილი ნომერ **პირველ ამოცანად 24-საათიანი მომარაგებასა და წყლის ხარისხს მიიჩნევს** და, მიუხედავად ზოგიერთ უბანში არსებული წყლის გრაფიკისა, მისი აზრით, წყლის კომპანია ამ ორივე მოთხოვნას აკმაყოფილებს.

თუმცა, იორგ მათისი არ მალავს, რომ დღეს **თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 88%-ს მიეწოდება უწყვეტად სასმელი წყალი** და დარწმუნებულია, რომ თბილისის უწყვეტი წყალმომარაგების მიღწევას მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანებაც შეუწყობს ხელს.

მეორე მხრივ, თბილისის იმ უბნების მცხოვრებლები, რომლებსაც წყალი გრაფიკით მიეწოდება, ირწმუნებიან, რომ მოსახლეობის ერთ სულზე იხდიან არა შეღავათიან ტარიფს – 2,4 ლარს, როგორც ამას კომპანიის დირექტორი ამბობს, არამედ სრულ ტარიფს – 3,15 ლარს.

### რატომ ღირს განვითარებად საქართველოში წყალი განვითარებულ ევროპაზე ძვირი?

**რაც შეეხება გამრიცხველიანებას: მოსახლეობის ხარჯზე გამრიცხველიანება კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია გიორგი გაჩეჩილაძეს:**

**„აბსურდია, რომ მოსახლეობას ახდევინებენ მრიცხველების საფასურს, რადგან მოსახლეობა ისედაც მაღალ ტარიფს იხდის წყალში. როგორ შეიძლება, რომ კომერციულმა ობიექტმა თავისი მოგების მისაღებად ხარჯი დააკისროს მოსახლეობას?! ესე იგი, მე მინდა, რაც შეიძლება, მეტი ფული ამოვიღო შენგან და ამიტომ შენ თვითონ უნდა გახდე ჩემი ფინანსური უზრუნველყოფის წყარო?!“**



კოკი იონათამიშვილს კი, ეს გამართლებულად მიაჩნია: **„ნებისმიერ მომხმარებელს აქვს სურვილი, რომ რაც შეიძლება ნაკლები გადაიხადოს და ეს აბსოლუტურად ბუნებრივია, მაგრამ არანაირი ვალდებულება არ გააჩნია წყლის კომპანიას, რომ ეს უფასოდ გააკეთოს“.** ხოლო იმის დასტურად, რომ კომპანიას არ ევალება საკუთარი ხარჯით მოსახლეობის გამრიცხველიანება, მმართველი პარტიის წარმომადგენელი ნასყიდობის ხელშეკრულებას იშველიებს (რომელსაც მოქალაქეები და დაინტერესებული პირები ვერასდროს ნახავენძ: **„ხელშეკრულების მიხედვით, წყლის კომპანია არ არის ვალდებული, შეიძინოს მრიცხველები“.**

მეტიც – კოკი იონათამიშვილს ესეც გამართლებულად მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხოური კომპანია არ დაინტერესდებოდა თბილისის წყალმომარაგების სისტემის შეძენით. რთული სათქმელია, არის თუ არა ეს არგუმენტი დამაჯერებელი, რადგან, თავის დროზე, გამოცხადებულ ტენდერში რამდენიმე საკმაოდ ძლიერი და ამ საქმეში გამოცდილი კომპანია ილებდა მონაწილეობას (მათ შორის, ესპანური კომპანია „აკვალია“ძ და, სავარაუდოდ, ხელისუფლებას უნდა ჰქონოდა პირობების კარნახის შესაძლებლობა მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. როგორც საკრებულოს ოპოზიციური წევრი, თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი, ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, **ტენდერი საკმაოდ გაუმჭვირვალედ ჩატარდა და ჩვენთვის უცნობია მისი დეტალები.**

თუმცა, მაგალითად, იორგ მათისი აცხადებს, რომ **„გამრიცხველიანების პროცესს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტი აწესრიგებს. კერძოდ, სემეკის 2010 წლის №18 დადგენილების თანახმად, თითოეული აბონენტისთვის სააღრიცხვო კვანძის მოწყობის ხარჯი 100 ლარით განისაზღვრა.“**

დედაქალაქის ხელისუფლება საკუთარ მიღწევად მიითვლის, რომ მრიცხველის ღირებულების – 100 ლარის – გადახდა მოსახლეობას ეტაპობრივად მოუწევს 24 თვის განმავლობაში და იმასაც აღნიშნავს, რომ გამრიცხველიანების შემდეგ მოსახლეობა ერთ სულზე ფიქსირებული ტარიფის ნახევარს გადაიხდის.

ახლა კი, არითმეტიკა მოვიშველიოთ: გამრიცხველიანების შემდეგ მრიცხველის საფასურის დასაფარად ორი წლის განმავლობაში აბონენტებს ყოველთვიურად 4,16 ლარის გადახდა მოუწევთ, რაც იმას ნიშნავს, რომ გამრიცხველიანების შემდეგ ერთსულიანი ოჯახი თითქმის ორჯერ იმაზე მეტს გადაიხდის, ვიდრე ფიქსირებული ტარიფით იხდიდა, მეტს გადაიხდის ორსულიანი ოჯახიც, სამსულიანი ოჯახისთვის გადასახდელი თანხა იგივე დარჩება, რაც გამრიცხველიანებამდე იყო, ხოლო ოთხი და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში წყლის ტარიფი უმნიშვნელოდ დაიკლებს. **ამასობაში კი, პრეზიდენტის ზემომოყვანილი ბრძანებულების თანახმად, ერთი კუბური მეტრი წყლის ღირებულებაც გაიზრდება და გამოდის, რომ წყლის ტარიფი არათუ დაიკლებს, არამედ – მოიმატებს.** თანაც, გაითვალისწინეთ, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს (საცხოვრებელი ბინების წყობიდან გამომდინარეძ წყლის ორი მრიცხველის შეძენა დასჭირდება, რაც, ბუნებრივია, მას წყლის ტარიფს კიდევ უფრო გაუძვირებს.

ფაქტია, რომ დავა წყლის 3-ლარიანი ტარიფის შემცირებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეზე მიუთითებს (წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ-ორ ლარს არ გამოვეკიდებოდითძ, მაგრამ აქ არის კიდევ ერთი „მაგრამ“ – ქვეყანაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამო წყლის ტარიფი განსხვავებულ ტვირთად აწევს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას. მაგალითად, **ქვეყანაში 800 000-ზე მეტი პენსიონერია, რომელთა საშუალო პენსია 100 ლარია, მათთვის 3,15-თეთრიანი ტარიფი საერთო შემოსავლების 3,15-პროცენტია, ხოლო, მაგალითად, რიგითი პარლამენტარისთვის, რომლის ყოველთვიური ხელფასი, მინიმუმ, 3 000-ლარია, წყლის ტარიფი საერთო შემოსავლების 0,11-პროცენტია** (აქვე გეტყვით, რომ მინისტრების, მათი მოადგილეებისა თუ დეპარტამენტების ხელმძღვანელების, ასევე, ძალოვანი უწყებების თანამშრომლების ხელფასი რიგითი პარლამენტარის ხელფასზე გაცილებით მეტიაძ.

იორგ მათისი წყლის ტარიფის ადეკვატურობის დასტურად ევროპის დიდი ქალაქების ტარიფებს იშველიებს: **„პარიზში წყლის ტარიფი 3,09 ევროს შეადგენს 1 კუბური მეტრი წყლის მოხმარებისთვის, კოპენჰაგენში – 6,18-ს, ბერლინში – 5,16-ს, ამსტერდამში – 4,01-ს. ლონდონში – 3,58-ს, ბრიუსელში – 3,49-ს, მადრიდში – 1,91-ს, ჰელსინკში – 2,88-ს, სტოკჰოლმში – 2,45 ევროს“.**

ამ ფონზე, თბილისის ტარიფი (დაახლოებით, 1,5 ევროძ მართლაც დაბალია, მაგრამ, თუ ამ მაჩვენებლებს გვერდით მივუწერთ იმ ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას მოსახლეობის ერთ სულზე, ვნახავთ, რომ თბილისში წყლის ტარიფი გაცილებით ძვირია. **მაგალითად, საქართველოში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე – 5 782 საერთაშორისო დოლარია (ადგილობრივი საქსტატის მონაცემით, ეს მაჩვენებელი 2 623 აშშ დოლარია). გერმანიაში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 33 638 საერთაშორისო დოლარია, დიდ ბრიტანეთში – 34 841 საერთაშორისო დოლარი და ა. შ.**

**ციფრები გვიჩვენებს, რომ განვითარებად საქართველოში წყალი იმაზე ძვირი ღირს, ვიდრე ევროპულ განვითარებულ ქვეყნებში. ხოლო, თუ ამას დავამატებთ, რომ საქართველოში ორჯერ მეტი მიწისქვეშა წყლებია, ვიდრე მთლიანად ევროპაში, ვფიქრობ, ტარიფის ადეკვატურობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.**

კიდევ ერთი დეტალი: თბილისში წყლისა და დასუფთავების გადასახდელი ელექტროენერგიაზეა მიბმული (წყლისა და დასუფთავების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტებს ელექტროენერგია ეთიშებათძ. ამას ერთიანი ადმინისტრირებით ხსნიან, თუმცა გადასახადების გადახდისას ამ თითქოს „ერთიან ქვითარში,“მოსახლეობა სამ საკომისიოს იხდის, რაც თავისთავად, ნიშნავს, რომ ეს არა ერთი, არამედ სამი სხვადასხვა გადასახადია.

### „წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია“

**სპეციალისტების გათვლით, საქართველოს წყლის რესურსებს ქვეყნის ბიუჯეტისთვის წელიწადში მილიარდ-ნახევარი აშშ დოლარის მოტანა შეუძლია.**

ექსპერტ სანდრო თვალჭრელიძის განმარტებით, საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი წყლის რესურსები ერთ-ნახევარჯერ მეტია, ვიდრე მთლიანი ევროპის იმავე ტიპის რესურსები. ის მიიჩნევს, რომ საქართველოს თავისუფლად შეუძლია წყლის რესურსით ევროპის მოთხოვნის დაკმაყოფილება, „მით უმეტეს, რომ საქართველოში გაცილებით უკეთესი წყალია, ვინაიდან ევროპის მიწისქვეშა წყლებისგან განსხვავებით მასში დაბალია მაგნიუმის შემცველობა“.

წყალს, როგორც ბუნებრივ რესურსს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განსაკუთრებული ადგილი აქვს გამოყოფილი. სადაც დაწვრილებითაა მოცემული საქართველოს მიწისქვეშა წყლების მარაგები, თუმცა, ჩვენს შეკითხვაზე, მუშაობს თუ არა სამინისტრო წყლის რესურსის ათვისების პროექტებზე, სამინისტროს პრესსამსახურმა გვიპასუხა, რომ ამ მიმართულებით არანაირი პროექტების განხორციელება არ იგეგმება.

ამის საპასუხოდ სანდრო თვალჭრელიძე აცხადებს: **„წყალთან მიმართებაში ჩვენთან სრული პარადოქსია. ევროპული მნიშვნელობის მიწისქვეშა არტეზიულ აუზზე დგას ქალაქი ქუთაისი და წყალი გრაფიკით აქვთ ორ დღეში ერთხელ. იგივე პოზიციაა თელავში. თელავი დგას კახეთის უზარმაზარ არტეზიულ აუზზე, მოსახლეობას კი წყალი დღეგამოშვებით მიეწოდება. ეს არის ჩვენი ინფრასტრუქტურული პარადოქსები, რომელიც უკვე ათეული წლებია გვაქვს“.**

**სპეციალისტების განმარტებით, მიწისქვეშა წყლების მიწოდება გაცილებით იაფიც ჯდება და უფრო მარტივიცაა, გარდა იმისა, რომ არტეზიული წყლები მიწისზედა წყლებზე ეკოლოგიურად გაცილებით სუფთაა. რაც მთავარია, არც წაყლსადენის აგება სირთულე.**

**ჯერჯერობით, პასუხი არ არსებობს კითხვაზე: „რატომ არ იყენებს რესურსებით არცთუ მდიდარი და საკმაოდ ღარიბი საქართველო წყლის რესურსს წყლის მზარდი დეფიციტის მქონე მსოფლიოში, ანუ რატომ არის წყალწაღებული ქვეყანა, რომელიც მიაქვს წყალს?!“ მასალა მომზადებულია დანიის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ასოციაციის მხარდაჭერით.**

ნინო ხაჩიძე,
Presage.tv

ცურვა

# მედლები საქართველოს რეკორდით



**კიევში დამთავრდა მოცურავეთა უკრაინის ღია ჩემპიონატი, რომელიც ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირი იყო, ამიტომაც მასში მასპინძლებთან ერთად საქართველოს, რუსეთის, ბელარუსის, მოლდოვისა და ყაზახეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.** ჩვენი ქვეყნის ღირსებას შვიდი სპორტსმენი (ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხომასურიძე, მწვრთნელი ირინა მინჟულინა) იცავდა. მათგან განსაკუთრებით 17 წლის ირაკლი ბოლქვაძემ იყოჩაღა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.09,64) მან პირველი ადგილი დაიკავა ახალგაზრდებს შორის, ხოლო 400 მეტრზე (4.33,06) ვერცხლის მედალი ერგო, თანაც ამ დისტანციაზე საქართველოს რეკორდს ორჯერ გადაამეტა — საკვალიფიკაციო და ფინალური გაცურვებისას. ასევე, წარმატებით იასპარეზა 16 წლის თემურ კობახიძემ. 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, მართალია, იგი ფინალში 125,64) მხოლოდ მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა, მაგრამ საქართველოს რეკორდის გასაუმჯობესებლად ეს შედეგიც საკმარისი აღმოჩნდა. 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში ირაკლი რევიშვილმა მე-4 ადგილი დაიკავა.

ჩვენი სპორტსმენები 24-29 აპრილს ბრესტში ბელარუსის ღია ჩემპიონატში იასპარეზებენ, 5-9 მაისს ხარკოვში უკრაინის თასზე მოსინჯავენ ძალებს, 21-27 მაისს უნგრეთში ევროპის ჩემპიონატსა და 2-3 ივნისს პრაღის საერთაშორისო ტურნირზე გამოვლენ. ოთხივე შეჯიბრება სალიცენზიოა და ქართველი მოცურავეებიც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის იბრძოლებენ.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# ხანდახან „მილანიც“ აფრენს



**მართალია, „მილანი“ საფუძვლიანად ითვლება ევროპული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდად, მაგრამ ხანდახან ისიც აფრენს.**

**საილუსტრაციოდ „დეპორტივოსთან“ სენსაციურად წაგებული ორრაუნდიანი დუელი (4:1, 0:4) და „ლივერპულთან“ სტამბოლში გამართული ჩემპიონთა ლიგის დრამად ქცეული დაუვიწყარი ფინალური მატჩი გამოდგება (პირველი ტაიმის 0:3-ის შემდეგ 3:3, ხოლო პენალტებით — 2:3). და აი, კიდევ ერთი სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოები „როსონერის“ მონაწილეობით, ოღონდ ამჯერად — ჰეფი ენდით.**



ორი კვირის წინათ მასიმილიანო ალეგრის გუნდმა ლონდონის „არსენალთან“ საპასუხო შეხვედრას, ერთი შეხედვით, ინტრიგა მოუსპო — 4:0, თუმცა ასე როდი ფიქრობდნენ „მეთოფეები“ და მათი თავკაცი არსენ ვენგერი.

მოკლედ, დასრულდა პირველი ტაიმი და „ემირეითს სთედიუმის“ ტაბლოზე ზღაპრული რევანშის მომასწავებელი ციფრები კიაფობდა — 3:0 (კოშიელნი, როსიცკი, ვან პერსი — პენალტით). რომ იტყვიან, ჰაერში სასწაულის სუნი დატრიალდა, მაგრამ შესვენების შემდეგ თოფი აღარ გავარდნილა, რასაც სტუმრები თავიანთ მეკარეს უნდა უმადლოდნენ. დიახ, სწორედ აბიატიმ ივაჟკაცა საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე, როცა მასთან პირისპირ დარჩენილ ვან პერსის მოუგო დუელი და, გარდა იმისა, რომ „დუბლი“ არ შეასრულებინა, პარტნიორები დამამცირებელი დამატებითი დროისაგანაც იხსნა — 0:3.

ასეა თუ ისე, ქებათაქება მასპინძლებს, რომლებმაც, უკვე მერამდენედ, ყველას დაუმტკიცეს, რომ უიმედო სიტუაციები არ არსებობს და ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

რაც შეეხება მეორე წყვილს, ლისაბონის „ბენფიკამ“ მშვენივრად ისარგებლა საკუთარი მინდვრის უპირატესობით და უკანასკნელი პერიოდის დროებითი კრიზისი (ორი მარცხი პორტუგალიის ჩემპიონატში და ერთი ფრე) სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ დაჩოქებით დაძლია — 2:0 (პერეირა, ოლივეირა; პირველი მატჩი — 2:3). აღსანიშნავია, რომ ლუზიტანიელებმა ორივე გოლი თითოეული ტაიმის ძირითადი დროისთვის მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე გაიტანეს.

ჭიდაობა

# უიღბლო სტარტი

**პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები — ოთარ თუშიშვილი (66 კგ.) და გიორგი გოგშელიძე (96) ქართველთაგან პირველები ჩაებნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც ბულგარეთი მასპინძლობს. თუშიშვილმა შარშან საქართველოს პირველობაზე ნეკნი იტკინა და ტრავმის მოსაშუშებლად დიდი დრო დასჭირდა, რის გამოც წლეულს საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობა ვერ შეძლო.** ამის მიუხედავად,



სერბეთის დედაქალაქის ხალიჩაზე მან ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო: ჯერ მასპინძელ მარიან გეცინს აჯობა (5:0, 6:0) დიდი უპირატესობით, მერე ბელარუს ალბერტ ბატურაუს სძლია (3:1, 1:0), უკრაინელი ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ანდრეი სტადნიკის დასამარცხებლად კი ორი პერიოდი იკმარა (6:3, 1:0). ნახევარფინალი თუშიშვილმა ბულგარელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ ლეონიდ ბაზანთან დათმო (0:1, 0:3), ხოლო მესამე ადგილისთვის პაექრობა სამ სეტში უნგრელ გეორგ ვოლერსთან წააგო.

გოგშელიძე უფრო ადრე გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლას. მართალია, სტარტზე მოლდოველი ევროპის პრიზიორი ნიკოლაი ცებანი კი ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ მე-2 წრეში თავადაც დამარცხდა თურქ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ სერჰატ ბალთისთან და ჩემპიონატსაც დაემშვიდობა. ორივე წონაში ოქროს მედლები რუსეთელებმა — ალან გოგაევმა და აბდუსალიმ გადისოვმა მოიხვეჭეს.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

## შარაპოვას მორიგი გამარჯვება



**ნიუ-იორკის „მედისონ-სკვერ-გარდენში“ ორი დიდებული ჩოგბურთელი ქალის — კაროლინა ვოზნიაცკისა და მარია შარაპოვას ორთაბრძოლის საყურებლად 18 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა.**

24 წლის შარაპოვამ, ახლა ქალთა მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილზე რომაა, დაამარცხა ცოტა ხნის წინათ პლანეტის პირველი, ახლა კი მეოთხე ჩოგანოსანი — 6:3, 6:4, თანაც 21 წლის დანიელმა ჩოგბურთელმა კორტზე მიიწვია თავისი ბოიფრენდი — 22 წლის რორი მაკილროი — ჩრდილო ირლანდიელი მეგოლფე, მსოფლიო მეგოლფეთა ლიდერი რომ გახდა, თუმცა ის დიდად ვერ დაეხმარა გულისვარდს.

## ხელს ნუ ჩამოართმევთ!

**დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური გუნდის წევრებს ურჩიეს, თავი შეიკავონ თავიანთი კოლეგებისთვის სხვა ქვეყნებიდან, აგრეთვე მაღალჩინოსანი სტუმრებისთვის ხელის ჩამორთმევისგან.**

ამის საფუძველი გახდა მედიკოსების შიში, რომ ტრადიციულმა მისალმებამ შესაძლოა, გამოიწვიოს რომელიმე ინფექციური დაავადება და, შესაბამისად, საფრთხე



შეუქმნას შეერთებული სამეფოს საიმედო სპორტსმენებს საშინაო თამაშებზე წარმატებით ასპარეზობაში.

ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის მთავარმა ექიმმა იან მაკკედიმ განაცხადა, რომ სპორტსმენების პირადი ჰიგიენა შეიძლება, გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი წარმატების მიღწევისა, ხოლო ოლიმპიური სოფლის პირობებმა, შეიძლება, ბოროტად იმოქმედოს მათზე ინფექციის გამო.

ახლა ეს რეკომენდაცია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს დელეგაციების ხელმძღვანელებში, რომლებიც ფიქრობენ, როგორ შეუთავსონ ექიმების რჩევა თავაზიანობის ელემენტარულ ნორმებს.

ეს აფიქრებს ბრიტანელ ექსპერტს ეთიკის საკითხებში ქალბატონ ლიზ უაიზსაც — „ეს ხომ ჩვეულებრივ ინგლისური მისალმებაა, სამწუხაროა, რომ ხალხს ეშინია ხელის ჩამორთმევისას დაავადების გავრცელებისა. ეს ძალზე არამეგობრული იქნება, თუკი ვინმე ხელს გამოგიწვდით მეგობრული მისალმებისთვის, თქვენ კი არ ჩამოართმევთ ჰიგიენური მოსაზრებებით, ეს ხომ დიდი უხეშობა იქნება?“

## ფიფა გამბიას ემუქრება

**მსოფლიო ფეხბურთის შტაბმა გააფრთხილა გამბია მკაცრი სანქციების შესახებ, ვინაიდან ამ ქვეყნის მთავრობამ დაშალა იქაური ფეხბურთის ასოციაცია აფრიკის თასზე წარუმატებელი გამოსვლის გამო — გამბიის ნაკრებმა ვერ დაძლია კვალიფიკაცია. როგორც ფიფამ განაცხადა, ის არ სცნობს და არც არავითარი საქმე არ ექნება ამ ქვეყნის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს მიერ დანიშნულ დროებით წარმომადგენლებთან.**



აფრიკელებს გუშინდლამდე ჰქონდათ დრო მიცემული ფიფასთან კონფლიქტის მოსაგვარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში გამბიის საკითხს გაიტანენ ზეპ ბლატერის მიერ მოწვეულ ფიფას რიგგარეშე ყრილობაზე.

როგორც იტყობინებიან, გამბიას, შესაძლოა, აეკრძალოს ფეხბურთის ყველა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა.

## ყურადღება მოენატრა

**პოპულარულ ესპანელ მოდელს ნერეიდა გალიარდოს პრესის ყურადღება და ელიტარული ცხოვრება მოენატრა. მას შემდეგ, რაც ცნობილ ფეხბურთელ კრიშტიანუ რონალდუს დასცილდა, დაიწყო ახალი თაყვანისმცემლის, რასაკვირველია, პორტუგალიელის ძებნა, როგორც ესპანური პრესა წერს, ნერეიდას ახალი რჩეულია არცთუ პოპულარული კლუბის „ავეშის“ შემტევი ნახევარმცველი, 29 წლის გონზალო კინაჟი.**



არ დაგვავიწყდეს, რომ გალიარდოს ქმარი ჰყავს, თუმცა პორტუგალიაში ვიზიტის დროს მას ქმარიც — პედრო საბატერიც გაშორდა.

ყველას უკვირს, რომ ნერეიდამ ყურადღება შეაჩერა პორტუგალიის მეორე დივიზიონის ფეხბურთელზე. მაგრამ ფიქრობენ, რომ ლამაზმანის წყალობით კინაჟი უკეთესად ათამაშდება და უფრო სახელოვან გუნდში აღმოჩნდება.

# პოეტის დედას

რად გამიმეტე ასე, დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი?
სირცხვილით ვის გსურს გააგებინო,
რომ შვილს ჩააცვი მგოსნის ხალათი!
შენ ცისფერ ეტლებს მიმეც მსახურად,
მიფრთხობენ სიმზრებს შლეგი ქარები.
მე თავზე ეკლის ჯიღა მახურავს
და შეშლილს მიგავს ხშირად თვალები.
რად გამიმეტე ასე, დედილო,
ჩემგან რა წყენა მოგაგონდება?
ჩემს ტვინში ახლაც ლექსი ნებივრობს
და იცი? — ტანჯვა მიახლოვდება.
რად გამიმეტე ასე, დედილო,
მოგეცა ჩემთვის ნიჭი მეგუთნის,
იცი თუ არა, დედავ, დედილო,
რომ თავი ჩემი მე არ მეკუთვნის!
რომ ლექსს დავყავარ უმისამართოდ,
ავკვრივარ ქალაქს მზერადაღლილი.
რომ ეს ცხოვრება მე ვერ გამართობს
და მომკლავს სადღაც ქუჩის ძაღლივით...
რად გამიმეტე ასე დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი?
სირცხვილით ვის გსურს გააგებინო,
რომ შვილს ჩამაცვი მგოსნის ხალათი!..

თემურ ჩალაბაშვილი

## საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

**2012 წლის 03 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ №6 (სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დაფნარის ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით) და №12 (ქ. ახალციხის ტერიტორიაზე აბასთუმნის გზატკეცილზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით) ობიექტებზე აუქციონში მონაწილეების მიღების თაობაზე პირველი განცხადება შემოვიდა 2012 წლის 07 მარტს, აუქციონი გაიმართება ს.ს.ი.პ — ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შენობაში ა/წ 13 მარტს 12 საათზე. აღნიშნულ ობიექტებზე განცხადებების მიღება შეწყდება აუქციონის გამართვის წინა სამუშაო დღეს.**

ჩვენი კარაბადინი

# მარტივი პროფილაქტიკა

**ინფარქტებისა და ინსულტებისგან ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი იღუპება. და თითქმის თითოეულს შეეძლო თავი დაეღწია ავადმყოფობისგან, თუ შეამცირებდა ძირითადი ფაქტორების რისკის გავლენას.**

### საფრთხე: მოწევა

ნიკოტინი იწვევს სისხლძარღვთა სპაზმს და მათში ქმნის პირობას ქოლესტერინის დალექვისთვის. ეს განსაკუთრებით სწრაფად ქალებში ხდება.

ამჟამად ნიკოტინური დამოკიდებულების მკურნალობის ბევრი მეთოდია დამუშავებული — ფსიქოთერაპიიდან სპეციალურ სალბუნებამდე. მონახეთ ის, რომელიც თქვენი შესაბამისია და დაემშვიდობეთ, ბოლოს და ბოლოს, მავნე ჩვევას.

### საფრთხე: სტრესი

სტრესის ჰორმონების გამოფრქვევას მივყავართ სისხლძარღვთა შევიწროებასთან, გულისცემის აჩქარებასთან, წნევის აწევასთან.

ისწავლეთ მოდუნება. დაგეხმარებათ, მაგალითად, ასეთი ვარჯიში: ჩაისუნთქეთ, გონებაში დაითვალეთ სამამდე. შემდეგ ნელა ამოისუნთქეთ (ახლა უკვე ხუთამდე უნდა დაითვალოქ. შემდეგ — პაუზა: სასურველია, კვლავ ხუთამდე დაითვალოთ, ვიდრე ჩაისუნთქავდეთ. ეს უნდა გაიმეოროთ 5-6-ჯერ.

ნერვული დაძაბულობა გაივლის, სისხლი კი შეიწოვს ჟანგბადს, რაც სისხლძარღვებისთვის მეტად სასარგებლოა.

### საფრთხე: საჭმლის გადაჭარბებული მიღება

მიაჩნიათ, რომ რისკს განსაკუთრებით ზრდის საკვები, რომელიც მდიდარია ცხოველური ცხიმებით (ქოლესტერინითქ. მაგრამ ყველა პროდუქტი მავნებელია, თუ ძალიან ბევრს მიირთმევთ მას. კალორიების ზედმეტ მიღებას მივყავართ ზედმეტ წონასთან, ეს კი ზრდის დატვირთვას გულსა და სისხლძარღვებში.



საჭმელი ამზადეთ ორთქლზე, გამოაცხვეთ უზეთოდ და უკარაქოდ. მენიუში შეიტანეთ მეტი ბოსტნეული და მთლიანმარცვლიანი პროდუქტები — ისინი ავსებენ კუჭს, თავიდან გვაცილებენ ზედმეტ ჭამას, და მდიდარია უჯრედისით, რომელსაც კუჭნაწლავიდან გამოაქვს ზედმეტი ქოლესტერინი. და კიდევ მათში უხვადაა ანტიოქსიდანტები, რომლებიც თავიდან გვაცილებენ ანთებას სისხლძარღვებში. პროფილაქტიკისთვის აუცილებელია ომეგა-მჟავები — ხშირად მიირთვით ცხიმიანი თევზი და სალათები ზეითუნის ზეთით.

### საფრთხე: ნაკლებად მოძრაობის წესი

მისი მიზეზით უარესდება გულისა და ტვინის სისხლის მიმოქცევა. სისხლძარღვები კი ხდება მაგარი და მყიფე, რასაც თრომბოზებთან მივყავართ.

● თუ დრო არ გყოფნით ფიტნესზე, ვარჯიშები შეასრულეთ პირდაპირ ოფისში:

● სკამზე ჯდომის დროს ხელები მოკიდეთ იდაყვებს და ასწიეთ თავსზევით. აზიდეთ ზევით, ჩაისუნთქეთ, ამოსუნთქვის დროს გადაიხარეთ მარცხნივ. გაიმეორეთ მარჯვნივ გადახრით. შეასრულეთ 4-5-ჯერ.

● ხელებით მკერდამდე მიიზიდეთ ერთი მუხლი, ცოტა ხანს გააჩერეთ, დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში, გაიმეორეთ მეორე ფეხზე. შეასრულეთ 8-10-ჯერ.

ეს და მსგავსი ვარჯიშები შეგვინარჩუნებს სისხლძარღვების ტონუსს და გაგვამხნევებს.

ტკივილიან-ღიმილიანი ეტიუდები

## მარგო და კატუშა

**აღარ ჩანან ამ ბოლო დროს ბაღში მარგო და კატუშა — აქაურობის ერთგული დამგველ-დამსუფთავებლები, ალიონიდან შუადღემდე მარჯვედ რომ ტრიალებდნენ, ცოცხით (ხანდახან ხელითაც) რომ გამოჰქონდათ ბაღის ბილიკებიდან თუ ძელსკამიდან წინა დღე-ღამის ნამუსრევი — ათასი უცხვირპიროს მიერ ირგვლივ მიყრილ-მოყრილი ცელოფნის პარკები, ცარიელი პლასტმასის ბოთლები, მზესუმზირის ჩენჩო, სიგარეტის ნამწვი თუ კოლოფი, ძაღლებისა და კატების განავალი...** მარგო თავაუღებლად გვიდა, კატუშა უფრო ემოციური იყო, ბუზღუნებდა, მაგარი ევროპელები ვართო, აღარც შინაურის მორიდება გვაქვს და აღარც უცხოელი ტურისტებისო, ბარემ, თავზე დაიყარონ ეს ნაგავიო... ჩქარობდნენ, ფაცი-ფუცობდნენ, სანამ ბაღის ავან-ჩავანი დათო გამოჩნდებოდა და ხელქვეითებს — რამდენიმე კაცსა და ქალს — ლუარსაბ თათქარიძესავით დაუცაცხანებდა, ეს, აქედან, რატომ არ წაიღეთო, ის, იქ, რატომ ყრიაო, აიღეთ და ნაგვის მანქანაზე დაყარეთო... რა ექნათ, ცოტათი ეშინოდათ კიდეც დათოსი — შეიძლება ის მცირე ხელფასიც კი სანატრელი გახდომოდათ...

ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ: როგორც მითხრეს, მართლაც სანატრელი გახდომიათ აქაური მცირე ხელფასი მარგოსა და კატუშას. იმ დღეს უკვე სხვები ასუფთავებდნენ ბაღს, აღარც დათო ჩანდა, ტენდერში ახალ ჯგუფს გაემარჯვა და უკვე, როგორც იტყვიან, მათი იყო აქაურობა.

— რას ერჩოდნენ ამ საწყალ ქალებს, ლუკმა რომ გამოაცალეს... ვითომ, უკეთესად დაასუფთავებენ ესენი?! — ქალაქის მერიის მისამართით აგზავნიდა „ლოცვა-კურთხევას“ ბონდო... ეეე... ამ ცხოვრებას რა ვუთხარი მეო...

ცხოვრება რა ოხერიცაა, კარგად იცოდა ბონდომ.

## ქალი ძაღლით...

**კვირა დილას ალექსანდრეს ბაღის „პარლამენტარებს“ სასიამოვნო სანახაობა გველოდა. შემოვიდა ბაღში ქალი, რა ქალი! შემოაცუნცულა ულამაზესი „ჩიხუახუა“ და მოწყალების თვალით ჩვენც გადმოგვხედა. ზაზას ეს გამოეპარებოდა? „ვაიმე, ბიჭო, რა ქალია, რა დიაცია, ასი პროცენტით მოიმატა რადიაციამ“ — ამოიჩურჩულა ტარიელ ჭანტურიას სტრიქონები. ატარა მშვენიერმა ქალბატონმა თავისი „ჩიხუახუა“ ბაღის ბილიკებზე, ძაღლმა მოისაქმა, რამდენჯერმე შეჰყეფა კიდეც და გასასვლელისკენ მორჩილად გაჰყვა ქალბატონს.**

— ვინ არი, ტო, ჩვენი უბნელი არ უნდა იყოს, — ამბობს ზაზა.

— მაგარი კია ბიძია და! — აღტაცებას ვერ ფარავს ბონდო ჩვამანია.

— ხვალ გეტყვით ყველაფერს, ძაღლს რომ შემოიყვანს, გავიცნობ და მოგახსენებთ, — თავდაჯერებულია ზაზა.

— კაი, რა, რის გამცნობი ხარ!..

— აბა, ნახავთ!..

მეორე დღეს, დილაადრიან „პარლამენტი“ იმავე შემადგენლობით განაგრძობს „მუშაობას“ ნეკერჩხლის ძირში.

და, უცებ, ის „ჩიხუახუა“ არ ჩაგვიცუცქდა ძელსკამთან! ბიჭოს! მაგრამ მშვენიერი პატრონი სადღაა?! მივიხედ-მოვიხედეთ და შორიახლო მაღალი, ორმოცდაათიოდე წლის კაცი მიმოდის სიგარეტის წევით. რა დიდი მიხვედრა უნდა, იმ მშვენიერი ქალის მეუღლე რომაა!..

მართლაც, ასეირნა ძაღლი კარგა ხანს მამაკაცმა, „აბა, წავედით, ტონი!“, — მოიხმო მერე თავისთან და გვერდით მშვიდად ჩაგვიარა.

ძაღლი კეთილშობილური თვალებით შემოგვყურებს და თითქოს გვეუბნება: „იმედით იყავით, კაცებო!“

## გაცოცხლებული „იების გამყიდველი“



დიმა ერისთავი — „იების გამყიდველი“

**შემოდის, შემოდის გაზაფხული... მარტი ჩვეულებრივ ჭირვეულობს, მაგრამ ეს ხანმოკლე ფაფხურია, უკვე სითბო გასჯდომია გრძელზამთარგამოვლილ ქალაქს.**

**მაღალ-მაღალ, გრუზათმიან, ასე 15-16 წლის ბიჭს, ბაღის შემოსასვლელში იების კონა უჭირავს და მუშტარს ელის.**

ორი გოგონა ჩერდება მის წინ — აკანჭულები, წამოჩიტული „გიმნაზისტკები“... ერთი იების კონას არჩევს კალათში, მეორე, ამასობაში, ჩანთას ხსნის და ხურდას აწვდის გამყიდველს. მერე ორივენი ტროტუარს მიუყვებიან, რაღაცაზე კისკისებენ, რაღაცა უხარიათ, ერთ-ორჯერ მარტოდ დარჩენილ ბიჭსაც გამოხედეს, იები დაყნოსეს... ბიჭი, თითქოს, სევდიანი თვალებით გაჰყურებს თანატოლებს... ხომ ბევრს გინახავთ ჩვენი დიმიტრი ერისთავის „იების გამყიდველი“?.. ეს შთამბეჭდავი ნახატი მახსენდება იმწუთას...

გაზაფხულია...

ვილენ მარდალეიშვილი

---

**ნიკა ცხაკაია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის, უსათნოესი ადამიანის**

**რუსუდან ჟორჟოლიანი-ყავლაშვილის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს შვილს ნუნუ ყავლაშვილს და მთელ მის ოჯახს.**

---

**შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციების ქსელი — ფოპტნეტის“ და შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნოშრევან ჟღენტს დედის**

**გულნარა კოროშინაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**შპს „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კომპანიის ადვოკატს, ბატონ ნოშრევან ჟღენტს დედის, ქალბატონ**

**გულნარა კოროშინაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კომპანიის ბუღალტერს, ქალბატონ მანანა გელაშვილს მამის, ბატონ**

**მიტუშა გელაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

## დაიჯესტი

### ვარდები და არა ტიტები!





**ყოველ სამშაბათობით ამსტერდამიდან ნიუ-იორკისკენ გეზს იღებს სურნელოვანი ულამაზესი ყვავილებით დატვირთული „ბოინგი“. გარდა ამისა, ჰოლანდიიდან ამერიკაში ყვავილებს დიდი ოდენობით გემებითაც აგზავნიან.**

სხვათა შორის, მსოფლიო ბაზარზე სამი გაყიდული ყვავილიდან ორი ჰოლანდიაშია გაშენებული. ორანჟერეების საერთო ფართი კი ჰოლანდიაში 40 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტია. ამასთან, კიდევ 30 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი, ამ ერთ ციდა ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის მეექვსედი მოსახლეობამ ზღვას „წაართვა“ და რომლის შენარჩუნებაზე ყოველდღიური უშელავათო ბრძოლა აქვს, ყვავილების ღია ნიადაგში დასარგავადაა გამოყოფილი. ყვავილების ექსპორტს ჰოლანდიისთვის ორ მილიარდამდე ევრო შემოსავალი მოაქვს. საგულისხმოა ისიც, რომ ექსპორტის ძირითადი ჯგუფია არა ტიტები, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ... ვარდები!

### ბრძოლის ეფექტიანი ხერხი: მოთხოვნის პროფილაქტიკა



**დღესდღეობით საქართველოში, თუკი ოფიციალურ მონაცემებს დავუჯერებთ, 15 ათასი ნარკომანია. ალკოჰოლიზმით დაავადებულთა შესახებ კი მონაცემები, ფაქტობრივად, არ არსებობს, რადგან ციფრთა სიმცირე რეალობისგან კიდევ უფრო შორსაა, ვიდრე ნარკომანიის რეალური სურათი...**

გაეროს ოფიციალური სტატისტიკით, მსოფლიოში დღეს ბაზარზე მბრუნავი ნარკოტიკების 20 პროცენტს პოლიცია, საბაჟო და სპეციალური ქვედანაყოფები ანადგურებენ. ჩვენში კი ეს მაჩვენებელი შეუდარებლად მცირეა. საქმე ისიცაა, რომ მარტო ბუნებაში არსებობს ფსიქიატრიული ზემოქმედების მქონე 500 ათასი სახეობის მცენარე (!ქ. ახლა ამას ქიმიური შენაერთები და მათი კომბინაციები დავამატოთ!.. ამდენად, ბაზრის ყველა „სიახლეზე“ თვალის მიდევნება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომ, მთელ მსოფლიოში ბრძოლა ნარკოტიკების მოხმარებაზე მოთხოვნის შემცირებაზეა მიმართული. ამ მხრივ კი ყველაზე ეფექტიანი ხერხია ამ მოთხოვნის ადრინდელ სტადიაზე გამოვლენა და პროფილაქტიკა.

### ავარიამ „უმკურნალა“



**ჰოლანდიელი ველოსიპედისტი ქალი მონიკა ვან დერ ჰორსტი, რომელიც 13 წლის მანძილზე ინვალიდის ეტლს იყო მიჯაჭვული... ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებას აპირებს.** მან ფეხზე დადგომა... საავტომობილო ავარიის შემდეგ შეძლო, რომლის შედეგად ფეხების მგრძნობელობა დაუბრუნდა! მანამდე კი მონიკამ ატლეტ-ინვალიდებში ჩემპიონის რამდენიმე ტიტული მოიპოვა – ახალგაზრდა ქალი სატერფულებს ხელებით ატრიალებდა.

## ტესტი

# შეგიძლიათ მწვერვალს მიაღწიოთ?

**ტესტი** დაგეხმარებათ უპასუხოთ ამ შეკითხვას. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მტკიცებანი და შეაფასეთ, ეთანხმებით თუ არა მათ.

1. მე ადვილად ვესაუბრები უცნობს.
აძ დიახ, ბძ არა.

2. სპორტში უფრო მნიშვნელოვანია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა.
აძ არა; ბძ დიახ.

3. დაგეგმვა — ზოგჯერ უბრალოდ დროის ამაოდ კარგვაა. მოულოდნელობა და შეტევა შეიძლება დაგვეხმაროს უფრო მეტი შედეგი მოვიპოვოთ.
აძ დიახ; ბძ არა.

4. წარუმატებლობის შიში ძლიერ ემოციებს იწვევს ჩემში.
აძ არა; ბძ დიახ.

5. მე იშვიათად განვიცდი ჩემს შეუსრულებელ დაპირებებს.
აძ დიახ; ბძ არა.

6. კარგი ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია მნიშვნელოვან მიზეზზე.
აძ არა; ბძ დიახ.

7. ჯერ არავის შეძლებია დაუსჯელად და უხეშად შეძვრეს რიგში ჩემს წინ.
აძ დიახ; ბძ არა.

8. ჩემი აზრით, არავინ გააკეთებს კეთილ საქმეს უბრალოდ.
აძ არა; ბძ დიახ.



9. მე იშვიათად მეუბნებიან უარს თხოვნაზე.
აძ დიახ; ბძ არა.

10. წარმატების მწვერვალზე ყოფნის დროს წვრილმანებს ყურადღებას არ ვაქცევ.
აძ დიახ; ბძ არა.

11. მდიდარ ხალხს ბევრი პრობლემები აქვს.
აძ არა; ბძ დიახ.

12. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვნახო მოგება პირდაპირ ახლა.
აძ დიახ; ბძ არა.

13. სხვების ურწმუნობა მეც გულგრილს მხდის.
აძ არა; ბძ დიახ.

14. მე ადვილად გამოვდივარ წყობილებიდან, თუ რაიმე არ გამომდის.
აძ დიახ; ბძ არა.

15. მრცხვენია ბაზარში ვევაჭრო გამყიდველს ფასში.
აძ არა; ბძ დიახ.

16. მიმაჩნია, რომ დიდი მიზნისთვის ყველაფერი შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენო.
აძ დიახ; ბძ არა.

17. სხვებზე უფრო ხშირად ვხვდები დაბრკოლებებს, რომლებიც უნდა გადაილახოს.
აძ დიახ; ბძ არა.

18. თუ საყვარელი ადამიანი ძალიან ლამაზია — ეს ზედმეტი თავის ტკივილია.
აძ არა; ბძ დიახ.

19. ცხოვრებაში არის ისეთი რამე, რაც კარიერაზე უფრო მნიშვნელოვანია.
აძ არა; ბძ დიახ.

20. მე იშვიათად გადავდებ ხოლმე მნიშვნელოვან საკითხებს სამომავლოდ.
აძ არა; ბძ დიახ.

**ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერეთ 1 ქულა, პასუხზე „ბ“ — ნული ქულა. შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს**

**0–5 ქულა.** როგორც ჩანს, თქვენ არ გყოფნით ამბიციები, და გზა ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის შეიძლება იყოს ხანგრძლივი. ბრძენმა შენიშნა: „ცხოვრებაში ყველაფერს შეიძლება მიაღწიო, საჭიროა მხოლოდ შენი სულის ყოველი ნაწილით ისურვო ეს“. თუ თქვენი სურვილები ძლიერია, შედეგი აუცილებლად მოვა. მთავარია, გამოიჩინოთ მოთმინება, ხოლო, როდესაც დაბრკოლებებს გადააწყდებით, ნუ შეელევით თქვენი გულისთვის ძვირფას რამეს და შუა გზაზე ნუ მიატოვებთ.

**6–10 ქულა.** შეიძლება სულის სიღრმეში თქვენ წარუმატებლობისა გეშინიათ. გაიხსენეთ სიბრძნე: „სიმამაცე — ქალაქებს იღებს“. მოიკრიფეთ ნებისყოფა და მიზანი ზუსტად დაისახეთ. მეტი რწმენა და მეტი შეუპოვრობა — და წარმატება მოვა!

**11–15 ქულა.** ვიღაცას შეიძლება მოეჩვენოს, რომ თქვენ, უბრალოდ, გიმართლებთ, სინამდვილეში გონიერება და ინტუიცია გეხმარებათ ცხოვრებაში, ერიდეთ მოუფიქრებელ მოქმედებებს და ეძიეთ უმოკლესი გზა დასახული მიზნების მიღწევისკენ.

**16–20 ქულა.** არ არის გამორიცხული, რომ თქვენ გახასიათებთ მტკივნეული მისწრაფება წარმატებისკენ. დაიოკეთ ამბიციები — ეს დაგეხმარებათ ნაკლები დანახარჯებით მიაღწიოთ სასურველ შედეგებს.

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988,
551 480-096.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 9-62-77;
599 32-85-76.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 10 მარტს**

## კადრი



## ანეკდოტები

— კარგია, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში არ დავიბადე, — ამბობს სვანი.
— რატომ?
— ახლა ხომ დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი.

* * *



**ექიმი** პაციენტს წამალს უწერს.
— ექიმო, თუ შეიძლება, ცნობაც მომეცით, რომ იდიოტი ვარ, — ეუბნება პაციენტი.
— რად გინდათ?
— უამცნობოდ აფთიაქში წესით ასე ძვირად არც უნდა მომყიდონ ეს უბრალო სურდოს წვეთები.

* * *

**ჭკვიანი** ძაღლი თავისიანებს არ დაუყეფს. ძალიან ჭკვიანი ძაღლი კი არც უცხოებს დაუყეფს: დღეს უცხოები არიან, ხვალ კი შეიძლება მისიანები გახდნენ.

* * *

**შუადღის** შესვენებამდე ორი საათით ადრე შეფი საპარიკმახეროში შევიდა და დაინახა, რომ იქ მისი თანამშრომელი თმას იკრეჭდა.
— როგორ? სამუშაო საათებში იკრეჭ თმებს?
— აბა, რა ვქნა, თმა სამუშაო საათებშიც მეზრდება!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24